საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვეჩი სიტყვაა, ტყეიღებით და ჯიბებით ბეჭთის გაცანა ყველა უკარბისობაზე უსამაგოესია.

ოთხშაბათი, 21 თებერვალი. 2018 წ. №37 (8438), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვინ არიან ბიძა თემურ ალასანია და დისწული – მიშა სააკაშვილი?!

③

ამბავი „პოლიტიკური გასტარბაიტერისა“ და მისი „გურუსი“

„112“ და თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი ერთობლივი პროგრამით იმუშავებენ

ევროპის **მოედანზე, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ და თბილისის მერმა კახა კალაძემ ახალი პროექტი წარადგინეს, რომელიც გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრისთვის შიდასაკომუნიკაციო პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას ეხება.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ში, თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრთან კოორდინაციით შექმნილი პროგრამის საშუალებით, „112“-ში შესული შეტყობინებისთანავე, ოპერატორი შეძლებს, მხოლოდ ელექტრონული კომუნიკაციის გზით, თბილისის სასწრაფო დახმარების ბრიგადებსა და პატრულ-ინსპექტორებს დეტალური ინფორმაცია მყისიერად გადასცეს.

„წარმოვადგენთ პროგრამას, რომელიც თბილისის მერიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა. დედაქალაქში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი, ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კი, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებაა. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ ჰქონდეთ მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც, ონლაინ რეჟიმში მიიღებენ ინფორმაციას თუ სად, რომელ მისამართზე უნდა მივიდნენ და მოქალაქეებს დაეხმარონ. ეს ყველაფერი მოგვცემს საშუალებას, უფრო ოპერატიულები და ეფექტურები ვიყოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

გიორგი გახარიამ პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი პროგრამა მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც „112“-ის სერვისს, საპატრულო პოლიციასა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრს მარტივად და ეფექტურად დააკავშირებს.

პროგრამის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრი და თბილისის მერი ელექტრონული სისტემის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების თანამშრომლებს გაესაუბრნენ.

ელექტრონულ სისტემაზე სრულად გადასვლამდე, პროგრამა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საპატრულო პოლიციის დანაყოფებსა და თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებშია გაშვებული. „112“-ის ოპერატორებს, პატრულ-ინსპექტორებსა და სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის თანამშრომლებს შესაბამისი ტრენინგები უკვე ჩაუტარდათ.

ქვეყანა უხალხოდ უკაცრიელი ადგილია!

④

ერთი უცხოელის ნათქვამთან დაკავშირებით

უვიზო რეჟიმის მტრები



⑦

ვინ ოცნებობს ერევნის დაპყრობაზე?!

⑧

პანკისის ხეობა: 2001 წლის 4 თებერვალი

დღე, რომელიც ერთ დღეზე მეტია...

⑤

უპრეცედენტო პასუხი ნატოს:

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო სამხრეთში 58-ე არმიის გაძლიერებას იწყებს

რუსეთის **სამხრეთ სამხედრო ოლქს ახალი შენაერთებითა და უახლესი საბრძოლო ტექნიკით აძლიერებენ. ამ გზით რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ქვეყნის სამხრეთში მთავარი დამრტყმელი ძალის – 58-ე არმიის უპრეცედენტო რეორგანიზება დაიწყო.**

როგორც რუსული მედია იუწყება, დაგეგმილია 2 ახალი მოტომსროლელი დივიზიის ჩამოყალიბება, ამასთან, სამხედროები БМП-3–ითა და Т-72Б3-ის ტიპის ტანკებით აღიჭურვებიან. სიმძლავრეების განსათავსებლად მიღებულია გადაწყვეტილება მოზდოკსა და ვლადიკავკაზში არსებული სამხედრო ქალაქების აღდგენის შესახებ. ამასთან, იგეგმება ახალი სამხედრო ქალაქების აშენებაც, 58-ე არმიის ნაწილს კი სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებში გადაისვრიან.

როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, ახალი დივიზიები 58-ე არმიის შემადგენლობაში მე-19 და 131-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადების ბაზაზე ჩამოყალიბდება, შემდგომში კი მათ დამატებით ბატალიონებსა და პოლკებს შეჰმატებენ. დაწყებული რეორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტად რუსეთის თავდაცვის უწყებაში უკვე არსებული და ახალი ნაწილებისა და ქვედანაყოფების უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვას ასახელებენ.

როგორც უწყებაში განმარტავენ, БМП-3-ისა და Т-72Б3-ის ტიპის მანქანები წინა ვერსიებისგან გაძლიერებული ჯავშანდაფარვითა და უფრო მძლავრი ძრავით განსხვავდება. რუსული მედიის ცნობით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები არაოფიციალურ საუბრებში აცხადებენ, რომ აღნიშნული გეგმები რეგიონში ნატოს წარმოდგენილობის გაძლიერებას უკავშირდება.

სენსაციური აღმოჩენა:

დნმ-ს აღამიანის სიტყვები და ფიქრები ესმის

⑪

ევროატლანტიკური ინტეგრაციის სიკეთე ხალხმა უნდა იცოდეს!

დღეს, როდესაც რუსეთი ძალიან აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის სხვადასხვა საშუალებას, ძალიან მნიშვნელოვანია აშშ-სთან თანამშრომლობა



დღეს, როდესაც არაერთი სახელმწიფო და განსაკუთრებით რუსეთი, ძალიან აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის წარმოების სხვადასხვა საშუალებას და სტრატეგიული კომუნიკაცია არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, არამედ პირდაპირი პოლიტიკის წარმოების უმძლავრესი იარაღი გახდა, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით აშშ-თან თანამშრომლობა, რათა მაქსიმალურად მივიტანოთ ჩვენს მოსახლეობამდე ის სიკეთე, რომელსაც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ქმნის საქართველოს პერსპექტივისთვის და დღევანდელობისთვის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებზე ტრენინგების პროგრამის დაწყებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა.

პრემიერმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ელჩ იან კელის და საელჩოს, რომლის ფინანსური მხარდაჭერით პროგრამა განხორციელდება.

„ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის გვერდში უდგას საქართველოს და ვფიქრობთ, ეს პროგრამა ამ განსაკუთრებული მეგობრობის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. მინდა, პირადად ბატონ იან კელის გადავუხადო მადლობა თანადგომისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონებში ჩვენი სტრატეგიული კომუნიკაცია გაუმჯობესდეს. მინდა, მოვუწოდო ჩვენს ყველა თანამშრომელს, სრულად გამოიყენონ ამ ტრენინგის შესაძლებლობები და მაქსიმალურად აქტიურად ჩაერთონ ტრენინგის პროცესში. ვფიქრობთ, ეს პროგრამა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტრატეგიულ კომუნიკაციას როგორც დედაქალაქში, ასევე — რეგიონებში და ეს იქნება არა მხოლოდ კომუნიკაციის გაუმჯობესების პროგრამა, არამედ გარკვეული კვლევის საშუალება, რათა მოხდეს შემდეგ ამ კვლევების გასაჯაროება და საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერმა მადლობა გადაუხადა საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის (GCSD) ხელმძღვანელს ლევან დოლიძეს, რომელიც ტრენინგებს ჩაატარებს და იმედი გამოთქვა, რომ პროგრამა ძალიან წარმატებული იქნება.

ტრენინგები სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამის ფარგლებში ტარდება. პროექტი საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების გაძლიერებას, არსებული კომუნიკაციისა და კოორდინაციის სისტემების გაუმჯობესებას და კომუნიკაციის სპეციალისტების, შესაბამისი საჯარო მოხელეების უნარ-ჩვევების ამაღლებას ისახავს მიზნად.

იან კელი: ნებისმიერი დემოკრატიისთვის ძლიერი ოპოზიცია აუცილებელი კომპონენტია!

აშშ-ის დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადებას, რომ ქვეყნის გარეთ საქართველოს მთავარი საფრთხე რუსეთია, ხოლო ქვეყნის შიგნით არსებობს საფრთხე, რომ შესაძლოა, ხელისუფლებამ ოპოზიცია ჩიხში მოიქციოს, აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი ეხმაურება:

„მე დავეთანხმები ხელმძღვანელის განცხადებას საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციასთან დაკავშირებით. საქართველოს ტერიტორიის 20% არის ოკუპირებული და ეს არის ერთ-ერთი საფრთხე, რომელიც ქმნის დესტაბილიზაციის საფრთხეს საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა მოაწერა ხელი სხვადასხვა შეთანხმებას იმასთან დაკავშირებით, რომ ჯარები უნდა გაეყვანა საქართველოს ტერიტორიიდან, უკვე 10 წელი გავიდა კონფლიქტის შემდგომ და მისი ჯარები კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. ჩვენი პოზიცია და დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით არის თანმიმდევრული და ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

რაც შეეხება მეორე საკითხს ამ განცხადებისა, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ნებისმიერი დემოკრატიისთვის ძლიერი ოპოზიცია არის აუცილებელი კომპონენტი. ოპოზიციას უნდა ჰქონდეს უფლება, რომ გამოხატოს თავისი მოსაზრება და იყოს თავისუფალი მონაწილე ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისა. შესაბამისად, მე მჯერა, რომ საქართველო მზად არის ამისთვის. არსებობს და უნდა არსებობდეს პოლიტიკური სურვილი რეფორმების გაგრძელების და პლურალისტული გარემოს შექმნის, სადაც ყველა ძალას ექნება მოსაზრების გამოთქმის საშუალება“, — განაცხადა იან კელიმ.

„მარტო რუსეთი არაა ქვეყნის საფრთხე, საფრთხეა თურქეთიც და ირანიც“

— ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა პარლამენტში დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრამდე განაცხადა.

„უწყებას (დაზვერვის) სამსახურს სჭირდება ადეკვატური დაფინანსება, რადგან მისი საქმიანობა მთელ რიგ ინფრასტრუქტურასთან არის დაკავშირებული. მარტო რუსეთი არაა ქვეყნის საფრთხე. თურქეთი არაა საფრთხე? ირანი არაა საფრთხე? საქართველოს ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს, რომ საფრთხე არაერთი ქვეყნიდან მოდის. საქართველოს ტერიტორიის 33% თურქეთს აქვს ოკუპირებული. თურქეთი აჭარის რეგიონში უკიდურესად სახიფათო პოლიტიკას ახორციელებს. ოკუპანტი თურქეთიცაა და რუსეთიც“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

უპირველესი საფრთხე ოკუპირებული ტერიტორიებია

საქართველოს **სახელმწიფო დაზვერვის სამსახურის უფროსი დეპუტატებს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებს აცნობს. სხდომა მედიისთვის დახურული იყო.** როგორც ჟურნალისტებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ განუცხადა, დეპუტატებისთვის მნიშვნელოვანია, ინფორმაცია მიიღონ საფრთხეების შესახებ და ამიტომ, მსგავსი შეხვედრები ინტენსიურ ხასიათს მიიღებს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვიწყებთ ასეთ შეხვედრებს. პირველ რიგში, ეს გვჭირდება დეპუტატებს, რომლებიც ვიღებთ გადაწყვეტილებებს. თავისთავად ცხადია, გვჭირდება ამომწურავი ინფორმაცია საგარეო საფრთხეებზე, რისკებზე, იმ პროცესებზე, რომლებიც განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში მიმდინარეობს. ეს არის ზოგადი ინფორმაცია საგარეო საფრთხეებზე და რისკებზე, შემდეგ ჩვენ გავაგრძელებთ კონკრეტულად თემატიკიდან გამომდინარე, თითოეული თემის ჩაშლას საფრთხეებზე და რისკებზე. ეს გვჭირდება დეპუტატებს, რომ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას ჩვენ ვიყოთ ინფორმირებულები. ვსაუბრობთ ყველაფერზე, პირველი შეხვედრაა და ინფორმაციულად დატვირთულია. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ დღევანდელი შეხვედრა სწორი და ეფექტური იყო. დაზვერვის სამსახური საკმაოდ ეფექტურად მუშაობს, ბევრი რეფორმა გატარდა ბოლო პერიოდში. ვფიქრობ, თვეში ერთხელ ან ორ თვეში ერთხელ ამ შეხვედრებს გავაგრძელებთ, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ინტერესები. უნდა გვქონდეს ადეკვატური ინფორმაცია რა ხდება რეგიონში, რა პოლიტიკური პროცესები მიდის და რა საფრთხეები არსებობს. ჩვენ შეიძლება საფრთხეებზე ღიად ვერ ვისაუბროთ, მაგრამ ეს აუცილებლად აისახება იმ პოლიტიკაზე, რასაც ქვეყანა საერთო ჯამში გაატარებს. რაც შეეხება საფრთხეებს, ყველას მოგვეხსენება, რომ ნომერ პირველი საფრთხე ოკუპირებული ტერიტორიებია. გარდა ამისა, რეგიონში დიდი სახელმწიფოების ინტერესთა კვეთაა, ამიტომ ამ პროცესში ჩვენ უნდა ვიპოვოთ ის სწორი პოლიტიკა, რომლითაც დავიცავთ ჩვენს ქვეყანას. თემების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ“, — განაცხადა სესიაშვილმა

გვარის შეცვლის წესი მკაცრდება

იუსტიციის სამინისტრომ უკვე დაასრულა მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ქვეყანაში გვარის შეცვლის წესს მნიშვნელოვნად გაამკაცრებს.

„იუსტიციის სამინისტროში დავასრულეთ მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც მნიშვნელოვნად გაამკაცრებს საქართველოში გვარის შეცვლის საკითხს. მთავრობისა და პარლამენტის მიერ ეს პროექტი გაზიარებული იქნება. გვარის საკუთარი ნება-სურვილით შეცვლა ისედაც აკრძალულია, მაგრამ შესაძლებელია, ადამიანმა მიიღოს მეუღლის, დედის, ბებიის ან წინაპრის გვარი. არ არის შეზღუდული რაოდენობა, თუ რამდენჯერაა შესაძლებელი ამის გაკეთება. ვფიქრობთ, ეს წესი არის გასამკაცრებელი. სხვადასხვა საელჩოებიდან და საკონსულოებიდან ჩვენი კონსულები გვწერენ, რომ საქართველოს არაკეთილსინდისიერი მოქალაქეები ამით სარგებლობენ — როდესაც ერთი გვარით ჩაიდენენ შენგენის სივრცეში დანაშაულს, შემდეგ ბრუნდებიან საქართველოში, მიიღებენ მეუღლის, ან ბებიის გვარს და შემდეგ ამ გვარის პასპორტით შედიან ისევ შენგენის ზონაში. ჩვენ ამას აღვკვეთთ სწორედ ამ წესების გამკაცრებით“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

თეა წულუკიანი ემრე ჩაბუქის მიერ ქვეყნის დატოვების რისკებზე საუბრობს

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ემრე ჩაბუქის მიერ ქვეყნის დატოვების რისკებზე საუბრობს. მისი თქმით, რისკი არსებობს იქიდან გამომდინარე, რომ გირაოს თანხა ძალიან დაბალია.

„ვფიქრობ, რომ გირაოს თანხის ნაწილში არსებობის რისკი, იმდენად დაბალია, რომ ბატონ ჩაბუქს გაუჩნდეს სურვილი, ექსტრადიციის დასრულებამდე დატოვოს ქვეყანა. გავაანალიზებთ, გირაოს თანხის ნაწილში ხომ არ უნდა გასაჩივრდეს მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება“ — განაცხადა წულუკიანმა. მისივე თქმით, სასამართლოს მიერ ჩაბუქის გათავისუფლება არ ნიშნავს, რომ საექსტრადიციო პროცესი დასრულდა.

„ის, რომ საკონსტიტუციო ვადის ცხრა თვის გასვლასთან დაკავშირებით ბატონი ჩაბუქი გათავისუფლდა სასამართლოს მიერ, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ საექსტრადიციო პროცესი დასრულდა. ის, უბრალოდ, ციხის გარეთ დაელოდება ექსტრადიციის პროცედურების დასრულებას. მე, როგორც ექსტრადიციის საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები პირი, ველოდები სასამართლო პროცესის დასრულებას“.

ვინ არიან ბიძა თემურ ალასანია და დისწული – მიშა სააკაშვილი?!

ამბავი „პოლიტიკური გასტარბაიტერისა“ და მისი „გურუსი“

„მსოფლიო ექსკლუზივი, რომლისაც ასე ეშინია პოროშენკოს“, – ასეთი ანონსი ჰქონდა რუსული ტელეარხის НТВ-სგადაცემას რუბრიკაში „ახალი რუსული სენსაციები“, რომელიც ეთერში გასულ კვირა საღამოს გავიდა.

სიმართლე გითხრათ, გადაცემამ ყურადღება უფრო ერთგვარი ქვესათაურის გამო მიიპყრო, „ექსკლუზივი: სააკაშვილის იდუმალი მფარველი“: ბოლო დროს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამარცხვინო ეპოპეა უკრაინაში რუსული არხებით ინტენსიურად შუქდება, რაც, ცოტა არ იყოს, ყელში ამოვიდა, ვინაიდან სიახლის მომენტს სიმძაფრე დაეკარგა, არსებითად ახალს კი ჩვენთვის, რაც წლების მანძილზე აქ გადავიტანეთ, ნამდვილად ვერაფერს გვატყობინებენ, თუმცა კი გადაცემის ზოგიერთი ასპექტი მაინც საგულისხმოდ გვეჩვენა, რამაც წინამდებარე პუბლიკაცია განაპირობა.

„ეს ხომ წმინდა წყლის შიზოფრენიაა!“

ამ ზაფხულს ევროპულ მედიაში, რასაც გადაცემაშიც გაესვა ხაზი, სააკაშვილისთვის მომაკვდინებელი კომპრომატი ამოტივტივდა: „ციური ასეული“ მაიდანზე, თურმე, მიხეილ სააკაშვილის „სპეცრაზმის“ ძართველ სნაიპერებს დაუხოცავთ. უკრაინის გამოძიებას ამ „უხერხული საქმის“ გახსნის შანსი მიეცა.

საკვირველი დამთხვევაა: მიხეილ სააკაშვილის პოლონეთში დეპორტაცია ერთი დღით ადრე მოხდა კიევის სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით მისი ჩვენების მიცემამდე .

გადაცემა რამდენიმე დღის წინათ მიხეილ სააკაშვილის კიევის ქართულ რესტორან „სულუგუნში“ დაკავებისა და პოლონეთში გაძევების სცენით დაიწყო, ამ განკარგულების გამცემად უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო დასახელდა, რაც არანაირ ეჭვს ისედაც არ იწვევდა.

სააკაშვილის დახასიათებისას ხაზგასმით ითქვა, რომ ყველა ადამიანს „გარკვეული მართვის ღილაკი“ აქვს, ცხადია, ასეთი სააკაშვილსაც გააჩნია, თუმცა მასზე თითის დამჭერთა მთელი რიგი დგას. მაგრამ ყველაზე მთავარი მომენტი ისაა, რომ მის მოქმედებათა წარმმართველთა შორის არის ერთი, რომელიც ბოლო დროს ჩრდილიდან გამოვიდა, უფრო სწორად კი თავი გაიმჟღავნა. ამ კაცის ასე დახასიათება რუსულ ტელეჟურნალისტთა „მიგნებად“ ნამდვილად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს სააკაშვილის ალალი ბიძა **თემურ ალასანიაა**, რომლის დისშვილთან მჭიდრო ურთიერთობა და მასზე დიდი ზეგავლენა დიდი ხანია, საქართველოში საყოველთაოდაა ცნობილი. ისევე, როგორც წლების წინათ, მათი ლამის დაუფარავ მტრობაში გადასული დაპირისპირება, რომელიც ბიძისთვის კინაღამ საბედისწეროდ დამთავრდა.

– ჩემი მოვალეობით, რასაც ნათესაური კავშირი მავალდებულებს, მე მისი მრჩეველი ვარ და ასეთად, ალბათ, მოვკვდები კიდეც, თუმცა კი ოფიციალურ თანამდებობას არასდროს დავიკავებ, – აცხადებს ბატონი ალასანია.

რუსი ჟურნალისტები მას „ბუნდოვანი წარსულისა და ძნელად განსაჭვრეტი აწმყოს კაცად“ იხსენიებენ, რომლის დაბადების თარიღიც კი ღია წყაროებში გასაიდუმლოებულია. მათი თქმით, იმის გარკვევა, თუ ვინაა მისტერ ალასანია, რომელიც წლების განმავლობაში, 1974 წლიდან მოყოლებული, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, მაგრამ სამშობლოში ცოტა ხნით ჩამოსვლასაც ერიდება (ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი დედის დაკრძალვაზეც კი ვერ ჩამოვიდა!), თავად მიხეილ სააკაშვილმაც დანამდვილებით არ იცის. ეს კაცი თავდაპირველად სსრ კავშირის მხარეს მუშაობდა, მერე ამერიკის შეერთებული შტატების, შემდეგ კი თავისი ოჯახის და საკუთარი ინტერესებისთვისო. თავად ბატონი თემურ ალასანიას თქმით, ამ ხნის მანძილზე იგი ამერიკის ყველა პრეზიდენტს შეხვედრია რონალდ რეიგანის გარდა. ამდენად, ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში კარგი კავშირები აქვს, იყო უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს კურატორი და ახლო მეგობარი, ასევე პირველი და მეორე მაიდნების მონაწილე გახლდათ.

ჟურნალისტებს ყურადღების მიღმა არც ის განცხადება დარჩენიათ, რომ ის მისი დისშვილის ინაუგურაციაზე უკრაინის მომავალ პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და მას „მიამაგრეს“(?!)

გადაცემის ავტორები თემურ ალასანიას „ქართული აქცენტის მქონე ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტს“ უწოდებენ, რომელსაც მათ ეშმაკობით აჯობეს და რაღაცრაღაცები დასტყუეს იმის შესახებ, თუ როგორ წვრთნიდა იგი მიხეილ სააკაშვილს რუსეთის სიძულვილში, რა საიდუმლო დავალებებს ასრულებდა კიევის პირველ და მეორე მაიდნებზე, ასევე როგორ აპირებენ ბიძა-დისშვილი პოროშჩენკოს დამხობას.

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ასეთი რიხიანი განცხადებებისა და მოწოდებული ინფორმაციის მსოფლიო ექსკლუზივად „მონათვლის“ მიუხედავად, ამ რანგის დონემდე აღნიშნულმა გადაცემამ ნამდვილად „ვერ გაქაჩა“, თუმცა როგორც ზემოთ ითქვა, რამდენიმე საგულისხმო მომენტი მასში უდავოდ იყო.

თემურ ალასანიას შესახებ ითქვა, რომ თავის დროზე იგი ან სუკ-ის აგენტი, ანდა, უბრალოდ, უშიშროების დამბეზღებელი იყო, შემდეგ კი ამერიკელთა მხარეს გადავიდა და იქაური დაზვერვის აგენტი გახდა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, მის ზურგსუკან სერიოზული სპეცსამსახურები დგანან, იგი დიდი სპეცპროექტის ნაწილია და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას მკვლელობის სავარაუდო დამკვეთი. მისი განცხადებით, მას ძალიან სერიოზული კონტაქტები აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

– დღესდღეობით უკრაინა იმასვე აკეთებს, რაც თავის დროზე ჰაბსბურგების ავსტრიამ გააკეთა, როცა ევროპა მონღოლების ურდოსგან დაიცვა, ის ქვეყანა კი იქაურობას რუსეთისგან იცავს, – აცხადებს ბატონი ალასანია, რითაც რუს ჟურნალისტებთან „იშიფრება“. – თავისი ბუნებით უკრაინელები ევროპელებივით კანონმორჩილი ხალხია და მათ ზარავთ რუსების ვანდალიზმი.

თემურ ალასანიას თქმით, რუსეთის იმპერიამ თავის დროზე მის წინაპარს მეფე სოლომონს, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა და ქვეყნის დატოვება აიძულა, მას შემდეგ ეს ომი არც შემწყდარა.

– ჩვენი ორივე გვარი, პაპისა და ბებიის მხრიდან, ორი უკანასკნელი ქართველი მეფის მხრიდან მოდის, – ამბობს იგი. – პაპის მხრიდან გიორგი XII-დან, ბებიის მხრიდან კი იმერეთის მეფე – სოლომონ მეფისგან.

სააკაშვილის ბიძის ამ მტკიცებას ერთობ სარკასტულ კომენტარს უკეთებს საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ამჟამად რუსეთში მცხოვრები იგორ გიორგაძე:

– ეს ისეთივე სიმართლეა, ახლა რომ მეთქვა – ჩემი გვარი ერთი მხრიდან ეგვიპტელი ფარაონებიდან, მეორე მხრიდან კი იუდეველთა მეფე სოლომონისგან მოდის-მეთქი, რომელმაც თქვა „ყოველივე წარმავალიაო“... მარაზმია ამის სახელი! რომელ ხუთ საუკუნეზეა ლაპარაკი, გამაგებინეთ?! ისე კი, სააკაშვილების ოჯახი ტრადიციულად თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან. დედამისი გიული ჩვენი აგენტი იყო, ბიძამისი თემურიც, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ასევე სუკ-ის აგენტი იყო. პაპამისი, რომელიც შინსახკომთან თანამშრომლობდა და ახლა თქვენ მეუბნებით, რომ ოჯახი ხუთი საუკუნის მანძილზე იმპერიას, ესენი კი საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდნენ?! ეს ხომ წმინდა წყლის შიზოფრენიაა! – აღშფოთებას ვერ მალავს და, ამავდროულად, „დიაგნოზსაც“ უსვამს ოჯახის წევრებს საქართველოს უშიშროების ყოფილი თავკაცი.

თემურ ალასანიასთან დაკავშირებით იგი ამბობს, რომ თავის დროზე ალასანია კი არ გადაიბირეს, ანუ უცხოეთის სპეცსამსახურებიდან მას არავინ უთვალთვალებდა და „დასდევდა“ – ოღონდ ეგ კაცი „დაგვათრევინაო“, არამედ მათთან თავისით მივიდა და სამსახური შესთავაზა. ასეთ აგენტებს სპეცსამსახურებში „ინიციატივიანებს“ უწოდებენ. მისივე თქმით, სამშობლოს მსახურება ჩვენში ახალგაზრდა თაობის აღზრდის ერთგვარ პრიორიტეტად იყო ქცეული, მაგრამ მიშას შემთხვევაში, ბიძამისს „მეტი მოუვიდა“. იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროექტია, ისიც დარწმუნებულია. კიევში უმაღლესი რომ დაამთავრა, საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო, საჭირო იყო რაღაც გზაზე დადგომა. ჰოდა, ბიძამ დისშვილს ამერიკის სპეცსამსახურში რეკომენდაცია გაუწია, – აცხადებს იგორ გიორგაძე. ისინიც დაკვირდნენ – უპრინციპო, ავარდნილი, არანორმალური ფსიქიკის მქონე, ადვილად სამართავი, თანაც ორი ენის ცოდნით ახალგაზრდა, რომელსაც შემდგომ „ოქროს ბიჭუნა“ შეარქვეს, სამსახურში ხალისით „აიყვანეს“.

ასეთივე სინჯისაა და ასევე CIA-ს პროექტის მდგენელია მისი თანამეცხედრე, ჰოლანდიელი სანდრა რულოვსი. ამდენად, იგორ გიორგაძის მტკიცებით, ორივე მეუღლე ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტია. ქალბატონი სანდრა რულოვსი ამ მიზნისთვის სავსებით შესაფერისი კანდიდატურა იყო. მიხეილ სააკაშვილზე გათხოვებამდე იგი საქართველოში უკვე ნამყოფი იყო, აქ გარკვეული კავშირები ჰქონდა დამყარებული. ამდენად, კარგი წყვილი იყო ოჯახის შესაქმნელად, რასაც დაზვერვაში „მძინარე უჯრედს“ უწოდებენ.

– ამაში გასაკვირი არაფერია, სპეცსამსახურის თვალსაზრისით, მიშამ და სანდრამ „კანფეტი“ შექმნეს, რაშიც ჩემს ამერიკელ კოლეგებს ქათინაური ეთქმით, – ამბობს იგორ გიორგაძე.

რუსი ჟურნალისტების თქმით, „კანფეტად“ დარჩენისთვის ქალბატონ რულოვს-სააკაშვილს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რადგან მეუღლემ ხარჭების გუნდი შემოიკრიბა, რის გაძლებას დიდი თავშეკავება სჭირდებოდა, თუმცა ამის გამო სანდრა ცოფდებოდა, რამდენჯერმე წასვლაც კი დააპირა, მაგრამ, იმის გამო, რომ ისიც სერიოზული პროექტის ნაწილი იყო, იძულებული გახდა ვითარებას შეგუებოდა და მდგომარეობა გამოესწორებინა.

იგორ გიორგაძის თქმით, ცოლიც და ქმარიც ასოციალური საქციელებისადმი და დანაშაულებრივი ქმედებებისკენ არიან მიდრეკილი.

– არც ერთს მუხრუჭი არა აქვს, თუკი მათ წინაშე ძალაუფლების მოპოვებისა და ფულის ხელში ჩაგდების პერსპექტივაა. მიშას ხელებზე იმდენი სისხლია, იმდენ უსამართლობასა და დამსხვრეულ ბედში აქვს ფეხი ჩადგმული, რომ ჯოჯოხეთშიც არ შეუშვებენ, ამიტომ ვლოცულობ, რომ ცოცხალი გადარჩეს და საკადრისი საზღაური საქართველოს მართლმსაჯულებამ მიუგოს. ყოველმა მეათე კაცმა საქართველოში ციხე გამოიარა, ხელისუფლებაში მყოფებმა რიგით მოქალაქეებს აუარება ქონება და დიდი თუ წვრილი ბიზნესი – სიგარეტის ჯიხურებიც კი – წაართვეს! – განაგრძობს იგორ გიორგაძე, – იმხანად ე.წ. „ღამის ნოტარიუსის“ პროფესიაც გაჩნდა – შუაღამისას პოლიციაში მიყვანილ კაცს ეუბნებოდნენ: თუ აქედან მშვიდობით გასვლა და ოჯახში დაბრუნება გინდა, შენი ბიზნესი ამა და ამ პირზე უნდა გადააფორმოო. კითხვაზე – კი მაგრამ, ამ შუაღამისას ეს როგორ გავაკეთოო? პასუხობდნენ – ნოტარიუსი აგერ, გვერდზე ოთახშიაო...

არადა, სულ სხვაგვარად ახასიათებს დისშვილს თემურ ალასანია:

– მისი განსხვავებული, გამორჩეული თვისება ისაა, რომ ბავშვობიდანვე არანაირი ფორმით არ ღებულობდა ძალადობასა და უსამართლობას!

იგორ გიორგაძე კი მას სულ სხვა თვალით უყურებს:

– როცა მის შესახებ მეუბნებიან, ქვეყანაში ბევრი კარგი რამ გააკეთა, მაგალითად, გზებიო, მე ვპასუხობ: მერე და რა, გზები ჰიტლერმა რომ გააკეთა, ისეთი უნდა, მაგრამ ამით განა რა გამოვიდა?! სახელმწიფო მმართველის ავკარგიანობა ამით არ განისაზღვრება!

ამიტომაც ვიმეორებ, მისი სასამართლო აუცილებლად საქართველოში უნდა გაიმართოს და საზღაურიც იქ უნდა მიეგოს!

მოამზადა

ოთარ ტურაბელიძემ

ქვეყანა უხალხოდ უკაცრიელი ადგილია!

ერთი უცხოელის ნათქვამთან დაკავშირებით

„ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ჩვენ ველით. ჩვენ სათავო ოფისს მივაწვდით განახლებულ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შესახებ“, — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა ვერა მერსედეს მარტინესმა. ეს სიტყვებიც მას ეკუთვნის: „სტრუქტურული ცვლილებები ემსახურება საქართველოში ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდას, რომელიც თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონეზე აისახება“.

„თავშესაფრის მინიჭების ევროპული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით 36%-ით გაიზარდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა. სულ თავშესაფარი ითხოვა საქართველოს 10 ათას 455 მოქალაქემ“.

ზემომოყვანილი ეს ორი ინფორმაცია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ ნომერში დაიბეჭდა და თავისთავად მისცა მკითხველს დაფიქრების საბაბი, ვინაიდან „თავბრუდამხვევი“ ეკონომიკური განვითარება უდავოდ უნდა აკავებდეს ლუკმაპურის საძიებლად ქვეყნიდან წასვლის მსურველს. თუმცა მეორე ინფორმაციის თანახმად, გადახვეწის მოსურნეთა რაოდენობა არცთუ უმნიშვნელოა და თუ ასე გაგრძელდა, სრული შესაძლებლობაა, რომ საქართველოს შეუჩერონ ვიზალიბერალიზაციის პროცედურა.

ქვეყნიდან წასვლის რეკორდული მაჩვენებელი დროის მცირე მონაკვეთშია მიღწეული და უდავო მანიშნებელია, რომ ევროკავშირში დარჩენილთა რაოდენობა მალე გადააჭარბებს 50%, რაც ავტომატურად გამოიწვევს ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას. არადა, რამდენი წელი დაახარჯა ქვეყნის ხელისუფლებამ ევროკავშირთან ასოცირებული წევრობისა და ვიზალიბერალიზაციის მიღებას?!

რატომ ვამბობთ ნეგატიურს, იძნება გონს მოვეგოთ და ევროკავშირში ტურისტებად, საძმიანი ვიზიტებით გავემგზავროთ და არა თავშესაფრის მისაღებადო, იტყვის მავანი. ამას რა სჯობს, მაგრამ სინამდვილე რომ სხვას გვკარნახობს?!

10 ათას 500-ზე მეტმა ჩვენმა მოქალაქემ მიმართა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს თავშესაფრის მისაღებად და უკვე მერამდენე თვეა, პასუხს ელოდება. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთმა თანხმობა მიიღოს, თუმცა ვარაუდი იმისა, რომ უმრავლესობას იძულებითი დაბრუნება მოუწევს, ფაქტია.

საქართველო იმ სტაბილური ქვეყნების ჩამონათვალშია, სადაც ცხოვრება უსაფრთხოა და ეკონომიკური წინსვლაც თვალშისაცემი, რასაც ზემომოყვანილი მაგალითიც ადასტურებს — მერსედეს მარტინესის სახით. ასეთი „ბედნიერი“ ქვეყნის მოქალაქეებს არვინ მიიღებს სამუდამო საცხოვრებლად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ოფიციალური მონაცემები წინააღმდეგობაში მოდის რეალობასთან და ზედმიწევნით ემთხვევა ამერიკელი მკვლევარისა და პუბლიცისტის ჯონ პერკინსის მიერ ასახულ ვითარებას თავისსავე წიგნში „ეკონომიკური მკვლელი“.

პატივცემული ჯონი წიგნის დაწერამდე სულითა და გულით ემსახურებოდა აშშ-ის მსხვილ კომპანიებს, ძვეყნის სპეცსამსახურებს მესამე ძვეყნებში, დაახლოებით ისეთებში, როგორიც ჩვენია და მიზანმიმართულად ანადგურებდა მასპინძელთა ეკონომიკას, საფინანსო სისტემას, ოღონდ ფარულად, მასპინძლების ძება-დიდების ფონზე, ხოტბითა და აღფრთოვანებით — „ეს რა ვნახე, რა წარმატებები გაძვთო“.

ის ქებით გულმოდგინედ ადუნებდა ადგილობრივ ხელისუფალთა ყურადღებას საკუთარი საქმისადმი და საბოლოო ჯამში ქვეყანას გაკოტრების ავბედით ბადეში ახვევდა. გაკოტრებული კი ცენტებად ყიდდა წიაღისეულს, უძრავ-მოძრავ ქონებას, მათ შორის მიწას და ა.შ. ასეთ ამერიკელ „ექსპერტებსა და სპეციალისტებს“ ეკონომიკური მკვლელი შეარქვა ერთ დროს თვით ასეთმა — პერკინსმა და ზურგი შეაქცია ამერიკულ მზაკვრულ პროექტს.

დატრიალდება თუ არა მსგავსი რამ ჩვენს თავს და როდის, ღმერთმა უწყისს, მაგრამ მერსედეს მარტინესის და მის მსგავსთა ხოტბა, ერთობ დაუმსახურებელი, რომ ეჭვს იწვევს, გასაკვირი არ არის. თუმცა მერსედეს მარტინესის ნათქვამში ისიც არის აღნიშნული, რომ **„ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა, თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონეზე აისახება“**, ანუ სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი არა აწმყოზე, არამედ მომავალზე მიგვითითებს — „აისახება“!

მერამდენე წელია, ამ დალოცვილი სავალუტო ფონდიდან, მსოფლიო ბანკიდან, სხვა ორგანიზაციებიდან გვესმის მსგავსი „გასახარი“ ცნობები. რეიტინგების მიხედვით, საკმაოდ კარგად გამოვიყურებით, რის შესახებაც სისტემატურად, უწყვეტ რეჟიმში გვატყობინებს ხელისუფლება. ასე იყო „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროსაც, თუმცა ლუკმაპურის საძიებლად ქვეყნიდან გადახვეწილთა რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო.

ეკონომიკური თვალსაზრისით გამართულ ქვეყანაში მსგავს თავბრუდამხვევ „გაქცევას“ ნაკლებად ან საერთოდ არა აქვს ადგილი. და რახან ამას „იქიდან“ გვატყობინებენ — თითის ქნევით, სავალუტო ფონდის მისიის „ოპტიმიზმი“ ერთობ დამაეჭვებელია. „იქიდან“ კი გვითხრეს ის, რისმა მოსმენამ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტში შიშნარევი განგაში გამოიწვია და საგანგებო სხდომის მოწვევის საგანიც გახდა. გამოითქვა აზრი კანონმდებლობის გამკაცრების (იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი), მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების, სხვა ღონისძიებების გატარების თაობაზე.

„გამოჟონილიდან“ გამომდინარე, ხელისუფლება ისეთ ზომებს მიიღებს, იქ დამრჩენთა რაოდენობა კარდინალურად რომ შემცირდეს, ანუ დეპორტირებულებს მოუწევთ საქართველოს საზღვარზე საკმაო თანხის გადახდა ვიზალიბერალიზაციით გათვალისწინებული ვადების დარღვევისთვის.

ამ ისტორიაში ერთადერთი გულისდასამშვიდებელი ის არის, რომ საქართველო მარტო არ არის. დამრღვევებში ალბანეთს, უკრაინას, ზოგიერთ სხვასაც მოიხსენიებენ. ახლა, რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის თათბირიდან „გამოჟონილ“ ჯარიმას. ასეთის დაწესებას სხვა უხერხულობაც შეიძლება მოჰყვეს — გაღატაკებულის კიდევ უფრო გაღატაკება.

ევროკავშირის ქვეყნებში დამრჩენის მიზანი იქ დასაძმეებაა და არა ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. ამ საძმისთვის სრულიად საკმარისია ვიზალიბერალიზაციით გათვალისწინებული 90 დღე. იქ დასაძმება შინ დაუსაძმებლობის შედეგია და უმუშევარი, მშიერი ადამიანის უკანასკნელი გაბრძოლება — სამშობლოდან შორს, ლუკმაპურის საშოვნელად. დიდი ჯარიმების შემოღება ავტომატურად ჩაუკეტავს წასულებს შინ დაბრუნების შესაძლებლობას და სურვილს, გაზრდის არალეგალ მცხოვრებთა რაოდენობას.

რა, ვიზალიბერალიზაციის შემოღებამდე არ მიემგზავრებოდნენ?

მიემგზავრებოდნენ. საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულო სამსახურების წყალობით, ბევრ შემთხვევაში ხელმრუდობით, მოქრთამვით.

დავუბრუნდეთ ეკონომიკას. ქვეყნის სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, გასულ წელს ეკონომიკა 4.7%-ით გაიზარდა. საბიუჯეტო ხარჯების სიდიდემ 10.5 მილიარდ ლარს გადააჭარბა. წელს ეს ხარჯები ერთი მილიარდი ლარით გაიზრდება.

„მიუხედავად ამგვარი ოპტიმისტური, იმედის მომცემი მონაცემებისა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სუსტად ან საერთოდ ვერ გრძნობს ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ გავლენას საკუთარ კეთილდღეობაზე“, — წერს ბატონი **იოსებ არჩვაძე** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

„ადამიანური კომედია თუ ... საქართველოს ტრაგედია?!“ — ასე ჰქვია მის ღრმაშინაარსიან სტატიას, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ბატონი იოსების სტატია სულაც არ არის ნიშნის მოგებით ან ღვარძლით სავსე. ის უფრო მნიშვნელოვანისთვის არის გამიზნული, ანუ მართალი სიტყვით ხელისუფლების გამოღვიძებისთვის.

ამ სტატიამდე ვის არ დაუწერია საქართველოში არსებულ სიღატაკეზე, მაგრამ ერთია, სიტყვის მასალად ქცეული სიღატაკის აღწერა, რომელსაც ყური რა ხანია შეეჩვია და მეორეა, ექსპერტის მიერ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობილი ანალიტიკა. ასეთ შემთხვევაში **„მოსახლეობის ნახევარი იმყოფება რეალური სიღარიბის ზღვრის მიღმა ან ამ ზღვართან სარისკო სიახლოვის ზონაში“** — უყოყმანოდ აღიქმება.

„საქართველო მაინც სასურსათო საქონლის მსხვილ იმპორტიორ ქვეყნად რჩება. 2017 წელს ქვეყანაში შემოტანილ იქნა თითქმის 1.2 მილიარდი აშშ-ის დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია — 400 მილიონი დოლარით მეტი მის ექსპორტთან შედარებით. 2017 წელს უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა 1.4 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც საქართველოდან განხორციელებული ყველა სახის სასაქონლო ექსპორტის ნახევარზე მეტია (50.6%)“, — აღნიშნავს ბატონი სოსო და იქვე წერს, რომ ზრდა უკავშირდება საქართველოდან შეუჩერებელი მიგრაციის მასშტაბებს.

„საქართველოს ექსპორტის ყველაზე „რენტაბელური“ და „ეფექტიანი“ ფენომენი სამუშაო ძალის ექსპორტია“. ყველას გვახსოვს შევარდნაძის ხელისუფლების მიერ დაპირებული მილიონი სამუშაო ადგილი. ისიც გვახსოვს — ხომ შვასრულეთ, განა მიწების დარიგება დასაქმებას არ ნიშნავსო.

არადა, რაში და როგორ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა ჩვენმა მოქალაქეებმა, ზემომოყვანილი მაგალითიდანაც ჩანს. მიწა, მისი დამუშავებისთვის საჭირო ტექნიკის გარეშე მძიმე ტვირთია და თუ მყიდველი გამოჩნდა, თეთრებად გაიყიდება, რასაც ჭქონდა და აქვს ადგილი.

სოფლის მეურნეობა ურთულესი დარგია. მას ზედაპირული, დილეტანტური აზროვნება — „დედალი ძროხის“ დონეზე, სერიოზულ ზიანს აყენებს. იშვიათად მოიძებნება ძვეყანა, სადაც ამ დარგს სერიოზულ ყურადღებას არ აძცევდნენ — საქართველოს გარდა. „ნაცური“ ხელისუფლება, ერთობ ამრეზილი სოფლის მეურნეობის მიმართ, ყველაფერს აკეთებდა მის ჩასაძირად. მხოლოდ სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში შეიცვალა „ნაცთა“ პოლიტიკა ამ დარგისადმი, თუმცა მედიაში დაწყებული ანტიაგრარული პროპაგანდა ისევ გაგრძელდა.

სააკაშვილი ისტორიას ჩაბარდა. მოვიდა „ოცნება“ — ახალი დაპირებებით და სოფლისკენ ერთჯერადად გადადგმული ნაბიჯით, თუმცა ნაკლებად გააზრებულით და საბოლოო ჯამში, უშედეგოდ. სოფელი კი დარჩა ისე, როგორც იყო. იქ მცხოვრებნი, განსაკუთრებით ქალები, მეზობელ ქვეყნებში გაიხიზნენ, ზოგიც ევროკავშირში და მძიმე, „შავი“ შრომით კვებავენ შინ დარჩენილ ოჯახებს.

„შემიძლია, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ჩვენი ძვეყნის თითოეულ მოქალაქეს, რომ ნუ გავწირავთ ძვეყნის უდიდეს მიღწევას, რასაც ევროპასთან უვიზო მიმოსვლა ჰქვია“ — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა**.

მინისტრს შევახსენებ, რომ ქვეყანა უხალხოდ უკაცრიელი ადგილია. ხალხი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ქვეყანაში ვერ საქმდება, იძულებულია სხვა ქვეყანას მიაკითხოს — შიმშილისგან თავის გადარჩენის მიზნით. დასაქმების საკითხი ხელისუფალთა გადასაწყვეტია, რასაც ისინი ვერ ასრულებენ და ნაცვლად ამისა, მკაცრი ჯარიმების შემოღებას გეგმავენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის ვერა მერსედეს მარტინესის „სასიხარულო“ განცხადება უმალ მოგტაცებთ თვალს და ასევე უმალვე გაქრება, როგორც გუშინდელი თოვლი. მისგან რა მიდის. კარგს ეტყვის მაღალჩინოსან მასპინძელს. ბოლოს და ბოლოს, დახუნძლული სუფრისთვის ხომ არ გამოლანძღავს?!

ხალხს და ქვეყანას რა?! ალბათ, ის რეალობა, რაც ძალიან, ძალიან შორს არის სტუმრის ნათქვამისგან. და რაც სრული პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობით არის მოტანილი მკითხველამდე იოსებ არჩვაძისა და ანზორ თოთაძის სერიოზულ პუბლიკაციებში.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

„...ევროკავშირმა უნდა იმოქმედოს და კვლავ შემოიღოს სავიზო რეჟიმი“

გერმანიის შსს საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკას ასაჯაროვებს. ინფორმაცია Die Welt-მა გამოითხოვა. მონაცემების მიხედვით, 2017 წლის სექტემბერში გერმანიაში თავშესაფარი საქართველოს 238-მა მოქალაქემ მოითხოვა, ოქტომბერში, 355-მა, ნოემბერში ეს რიცხვი 444-მდე გაიზარდა, დეკემბერში — 522, ხოლო იანვარში — 745 შეადგინა. „თუ სიტუაცია დროულად არ გამოსწორდა, ევროკავშირმა უნდა იმოქმედოს და კვლავ შემოიღოს სავიზო რეჟიმი“, — აცხადებს Die Welt-თან საუბარში გერმანიის პარლამენტის „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა“ და „ქრისტიანულ-სოციალური კავშირის“ ფრაქციის სპიკერი სტეფან მაიერი.

ДЕ, РОМЕЛИЦ ЕРТ ДЕЗЕ МЕТИА...

ПАНКИСИС ХЕОБА: 2001 ЕЛИС 4 ТЕБЕРВАЛИ

ПАНКИСИС хеоба деес квлав еурадебис центрши моекца — масмедиис, сазогадоебриобис, спецсамсахурebis еурадебis центрши: вцерт, вкаматобт, антитерористулі операциас ватарebт, да боломде вер гаврквеулвart, ра хдеба иq.

амитомі, егебі, уприані иеоі, гадавхедот чвенс уасеcі историас да гавихсенот, ра хдебода зустад 17 елис წინات, иq, ім хеобаши: сад виеавит да сад аеcмовчхдит.

гтавазобт 2001 елис 6 тебервлис газети „саqартвелоі да мсофлиоші“ гамоqвеqнебулі репортажис („деі, ромелиц ерт деі меtиа“) фрагментс армаз санебліძис мимдинаре елис ианварші гамоцемулі цигнидан „ис иеі“.

кахетис кавкасиони — тетри миуцвдомлоба — хадорис хеобидан чамоqцевасавит чанда, гафртхилебад стиqиасtан брძолис შეუძლებლობისა, тетрмосасхамиані снаипერებივით часафрebулიеqвнс усахелі мцвервалебი замтрис tеіс шави хеebis qаосურ шорисebши.

самагиероd, арсад чанднс спецданიშნულebis qведанаеоebis мебрძолebі (президентis даcвис, вtqвat асе, შეზღუდული კონტინგენტის გარდა): шевардnаძis часвлис гамо ძალის დემონსტრაცია არავის მოუხდენია, იქნებ, პირიქითაც იყო — хазгасмული ндомба: саqартвелоს პრეზიდენტი ყველგან შინ არის, სხვათა შორის, პანკისის ხეობაშიც, хадорис хеобашиц да асе шемдеg.

хадорис насофлариscкенс ромі мивдиомдит (есец гадмоцемит, торемі насофлариса иq арафері дарچენილა) мі да чемма колегам, „свободناია გრუზიას“ მთავარმა რედაქტორმა ტატო ლასხიშვილმა, არაერთხელ გავაჩერეთ მანქანა გზის არცოდნის გამო და ჩვენს შეკითხვაზე — ახლა საითო, პასუხის მიღების შემდეგ თავად ვხდებოდით ინტერესისა და ცნობისწადილის დაკმაყოფილების წყარო:

— შევარდნაძე ჩამოდის?

— Шеварднадзе приедет?

შევარდნაძე ჩავიდა, და არა მარტო ჩავიდა, არამედ შეხვდა მოსახლეობას — ადგილობრივსა და ლტოვილს.

ეს იყო სოფელ დუისის ცენტრში. არ ვიცი, რა ჰქვია იმ მოედანს, და ჰქვია თუ არა საერთოდ სახელი, მგონი, მოედანიც არ იყო, უფრო — გაშლილი მინდორი, რომელზეც იდგა ხალხი, იდგა და გულისკენ (როგორც გსურთ, ისე გაიგეთ) გზა გაუხსნა ედუარდ შევარდნაძეს.

მიდიოდა ამ, ბეჭ-ნახევარი სიგანის დერეფანში საქართველოს პრეზიდენტი და მიჰყვებოდა აღფრთოვანებული შეძახილები, მისალმებანი.

ძალიან ცდილობდა, ასე არ ყოფილიყო, მაგრამ ჩამოსართმევად გაწვდილ ხელს უკოცნიდნენ, მხარზე ეფერებოდნენ, როგორც საკრალურ სიმბოლოს რამეს, რომლის სიახლოვე გადაგარჩენს. ვიღაც ტიროდა, ვიღაც იცინოდა, ვიღაც იდგა, ბავშვი ჩაეხუტებინა და ორივე გარინდებული მისჩერებოდა სასწაულს.

ტაში ტალღასავით მიჰყვებოდა.

და, როცა ამ ტალღამ აპოგეას მიაღწია, როცა აღფრთოვანებული შეძახილები, მადლობა და სიკეთის სურვილები არა და არ დაცხრა, დადგა ედუარდ შევარდნაძე საიდანღაც მოტანილ, თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდასთან, რომელიც ჭიქითა და წყლიანი გრაფინით გაეწყოთ და ქართულად მიესალმა შეკრებილთ.

მოისხიპა ყველა სხვა ხმა — ლაპარაკობდა საქართველოს პრეზიდენტი!

არც ერთი სიტყვა ძირს არ დაცემულა ან როგორ დაეცემოდა — ადგილი არ იყო ნემსის ჩასაგდები. გადაუთარგმნეთო, ვისაც ქართული გესმით. გვესმისო.

— მე მჯერა, რომ სულ ცოტა ხანში მშვიდობა დამყარდება და თქვენ საკუთარ სახლებს დაუბრუნდებით. მე მინდა, დაიხსომოთ, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, მხოლოდ სიკეთეს თესავს. მადლობელი ვარ ამ შეხვედრისთვის. ბედნიერებას, სიხარულს გისურვებთ ყველას. მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა.

და კვლავ — ტაში.

კვლავ — მოფერება.

კვლავ — შეძახილები.

და უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრა, პრეზიდენტის წინ დადგა ახალგაზრდა ქალი ტელეკამერით (მერე მეტყვის თინა ჯაბრაილოვა ვარო, ტელეჟურნალისტი):

— Я хочу, от имени 12 тысяч беженцев сказать Вам благодарность за то, что в самые тяжелые для нас дни приютили и оказали нам содействие, и столько людей спасли. Спасибо Вам от 12 тысяч беженцев.

გადმოგცემთ იმას, რასაც ამბობდა, ისე, როგორც ამბობდა.

ხმა ჩაუწყდა, ცრემლმა დააღრჩო, პროფესიული მოვალეობა გრძნობათა მოჭარბებამ გადაფარა, მადლობაო და მკერდზე ეამბორა საქართველოს პრეზიდენტს ჩეჩენი ქალი, ჟურნალისტი:

— Вы вернетесь я уверен, вернетесь. Установится мир и вы вернетесь, — ამშვიდებდა ედუარდ შევარდნაძე.

— С каким ответом я могу вернутся к своим беженцам? — ცრემლებს მოერია ბოლოს და ბოლოს, — Они в настоящее время страдают, боятся, якобы будут вести зачистку в Панкисском ущелье российские войска. Пожалуйста, ответте на этот вопрос.

„Пожалуйста“, — ისე უთხრა, როგორც ვედრება — დაგვიფარეო ამ საშინელებისგან.

საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა:

— Никакого насилия здес не будет.

— Вы уверены?!— გაიოცა, გაუკვირდა და როგორც კი ჩაწვდა პასუხის არსს, — Спасибо Вам огромное!— გაიხარა და კვლავ ეამბორა მკერდზე. და აღარ ებრძოდა სიხარულის ცრემლებს.

— Вы наши гости.

— Мы всегда с вами!

ხომ გაიგონეს ეს სიტყვები, და ახლო მდგომთაგან ვიღაც ხმელხმელმა მამაკაცმა წამოიძახა:

— Большое Вам спасибо! Счастливой жизни Вам! Все мы благодарны Вам!

ლტოლვილია.

— კარგად ბრძანდებოდეთ, სულ კარგად, თქვენ გენაცვალეთ! — იძახის სხვა და ტაშს უკრავს.

ქისტია.

— გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას! — ეს კიდევ სხვა არის, ახალგაზრდა, სუფთად პირგაპარსული.

თეთრი მტრედები შემოავლეს თავზე და ცაში ატყორცნეს.

შეკრა კამარა ერთმა და მხარზე დააფრინდა.

— ვაააა! — აღმოხდა ხალხს.

თეთრი მტრედივით მოირგო თეთრთმიანმა პრეზიდენტმა თეთრი ნაბადი, რომელიც უხუცესებმა მიართვეს.

სიხარულის სიცილი და შეძახილები, კვლავ და კვლავ, დაუსრულებლივ, სანამ ავტომანქანაში არ ჩაჯდა და მერეც, მთელი გზის გაყოლებაზე, სანამ სოფელი არ დასრულდა.

სოფელი კი დიდია.

შემიძლია ვთქვა: მე ეს ვნახე და აქამდე მსგავსი არაფერი მინახავს.

— ადამიანებმა, რომლებსაც დღემდე შუბლი არ გაუხსნიათ, გაიღიმეს, გახალისდა ხალხი, გათბა. ეს მოხდა 4 თებერვალს, დღეს, რომელიც ერთ დღეზე მეტია!

ასეთი იყო პრეზიდენტის რეზიუმე, რომელიც მან შემდეგ არაოფიციალურ ვითარებაში გააკეთა

არმაზ სანებლიძე

თბილისი ევროპის საავიაციო ფორუმს - CONNECT 2018-ს მასპინძლობს

20-22 თებერვალს, თბილისში ევროპის საავიაციო ფორუმის, CONNECT 2018-ის საიუბილეო, რიგით მე-15 ღონისძიება იმართება. ფორუმში მონაწილეობას იღებს 65 ავიაკომპანიისა და 250 აეროპორტის 500-ზე მეტი წარმომადგენელი.

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ის ფაქტი, რომ საქართველო ამ ფორუმს მასპინძლობს, მნიშვნელოვანი წარმატებაა. „დაახლოებით რვა თვის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება, მიგვეღო მონაწილეობა შერჩევის პროცესში და გავმხდარიყავით CONNECT 2018-ის რიგით მეთხუთმეტე საიუბილეო ფორუმის მასპინძლები. ფორუმი წელიწადში ერთხელ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იმართება და თვით

ის ფაქტი, რომ მოვიპოვეთ ამ ღონისძიების მასპინძლობის უფლება, უკვე დიდი წარმატებაა და მოწმობს ჩვენი ქვეყნისადმი მზარდ ინტერესს“ — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

CONNECT 2018-ის ფარგლებში, 20 თებერვალს სასტუმრო „ბილტმორში“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორმა ქეთევან ალექსიძემ და საფრანგეთის აეროპორტის სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა კარენ ბუტომ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. როგორც მხარეებმა განაცხადეს, ფორუმზე დამსწრე დელეგატები განიხილავენ საჰაერო ტრანსპორტის სფეროში არსებულ და მოსალოდნელ გამოწვევებს, ასევე, საფუძველი ჩაეყრება ავიაკომპანიებსა და აეროპორტებს შორის ახალ ავიამიმართულებაზე თანამშრომლობას.

რუსული კომპანია თბილისში ესტაკადებს ველარ ააშენებს

რუსული „ნიკარემსტროი“ თბილისში ესტაკადების მშენებლობის ტენდერებიდან მოიხსნა — ინფორმაციას ამის შესახებ BPN ავრცელებს.საქმე ეხება როგორც მარშალ გელოვანის გამზირისა და ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი ესტაკადის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერს, ასევე ცინცაძე-კარტოზიას ქუჩის გადაკვეთაზე სატრანსპორტო კვანძის (ესტაკადის) მოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვას.

ცინცაძე-კარტოზიას ქუჩის გადაკვეთაზე ესტაკადის მოწყობასთან დაკავშირებით ტენდერში წინადადებების მიღება 2018 წლის 3 თებერვალს დაიწყო და 8 თებერვალს დასრულდა. თბილისის მერიამ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 2 901 669 ლარი განსაზღვრა. კომპანია „ნიკარემსტროიმ“ კი ესტაკადის მშენებლობა მერიას 2 698 524 ლარად შესთავაზა.



რაც შეეხება მარშალ გელოვანისა და სარაჯიშვილის კვეთაზე ესტაკადის მშენებლობას, აქ კომპანიამ ესტაკადის მშენებლობა მერიას 4 006 186 ლარად შესთავაზა, თითქმის 300 ათასი ლარით ნაკლებად, ვიდრე მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ პირობებში იყო მითითებული. მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში აღნიშნული ესტაკადის მშენებლობის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 4 307 727 ლარს შეადგენდა.

თუმცა ორივე შემთხვევაში „ნიკარემსტროის“ ტექნიკური დოკუმენტაციის გამო ტენდერში დისკვალიფიკაცია მისცეს.

მარშალ გელოვანის ქუჩისა და სარაჯიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე ესტაკადის მშენებლობაზე „ნიკარემსტროის“ კონკურენტი კომპანია „ენსისია“, მან მერიას მშენებლობა 4 177 999 ლარად შესთავაზა. ცინცაძე-კარტოზიას ქუჩის გადაკვეთაზე ესტაკადის მოწყობის ტენდერში კი „ნიკარემსტროის“ კონკურენტი შპს Construction Service-ია, მის მიერ შეთავაზებული თანხა 2 699 060 ლარს შეადგენს.

ვინ განდევნა სააკაშვილი საქართველოსა და უკრაინის პოლიტიკური პროცესებიდან? უშუალოდ ამ ორი ქვეყნის ხელისუფლებებმა (დასავლეთის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევით) თუ თავად დრომ, რომელიც ყველაზე ულმობელი მსაჯულია?! როგორი იქნება მისი შემდგომი ბედი ევროპაში, ისეთი ხომ არა, როგორც ამას დიმიტრი შაშკინი ამტკიცებს, „ჩემს მტერს გაბრაზებული სააკაშვილი ევროპაში“?! – ამ კითხვებით დავიწყეთ საუბარი ანალიტიკოს ვაჟა ბერიძესთან.

– დრო ულმობელი მსაჯულია, მაგრამ დრო ძირითადად ისტორიულ პერსპექტივაში აფასებს მოვლენებს. სააკაშვილი სერიოზული მოვლენაა, მან რეალური როლი შეასრულა მოვლენათა განვითარებაში კავკასიასა და შესაძლოა, საერთაშორისო მასშტაბითაც. მის შესაფასებლად არ გასულა აუცილებელი ისტორიული სიშორე, რაც საჭიროა პიროვნების ღვაწლის რეალური შეფასებისთვის, სადაც პიროვნებისა და მოვლენების შეფასებისას, კატაკლიზმებისა და დაპირისპირებების ნაცვლად ზოგჯერ ისტორიული კანონზომიერება წარმოჩინდება ხოლმე. ამიტომ ყველაფერი, რასაც დღეს ჩვენ ვიტყვით და შევაფასებთ, ეს არის უფრო პოლიტიკური რაკურსი მიმდინარე მომენტის გასაანალიზებლად. ჩვენ არ შეიძლება გვქონდეს აღმატებული ჭეშმარიტების პრეტენზია.

ამ თვალთახედვით, ის, რაც ამ დღეებში სააკაშვილთან დაკავშირებით მოხდა, აბსოლუტურად ლოგიკურია, ვინაიდან სააკაშვილი ვირტუოზულად ასრულებდა ორი ბატონის მსახურის როლს. ვერ ვიტყვი, რომ ის რომელიმე კონკრეტული სპეცსამსახურებისგან იღებდა დირექტივებს, მაგრამ ფაქტია, რომ მის უკან ყოველთვის იდგა **დასავლეთი** და **რუსეთი**. რასაც სააკაშვილი აკეთებდა, ერთი რაკურსით, დასავლეთისთვის იყო მისაღები, სასიამოვნო და კარგად აღსაქმელი, მეორე მხრივ, თუ შედეგებით ვიმსჯელებთ (სიტყვიერი ეკვილიბრისტიკისა და შეურაცხმყოფელი შეძახილების გარდა ორივე მხრიდან), სააკაშვილი რუსეთის ნეოიმპერიულ ინტერესებს ემსახურებოდა. ეს 2008 წლის მოვლენებმაც ცხადყო, როცა აღმშენებლობაზე თავდადებული და თავგამოდებული სააკაშვილი ლამის ქვეყნის ორად გახლეჩის ინიციატორად მოგვევლინა, რადგან მისი მცდელობა, შემოეერთებინა განმდგარი სეპარატისტული რეგიონები, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების მიტაცებითა და რუსეთის მიერ კავკასიის რეგიონში სამხედრო ბაზების დაბრუნებით დასრულდა.

არადა, ჯერ კიდევ 1999 წლის სტამბოლის შეთანხმებით, შევარდნაძის ავტორიტეტით და ჩვენი დასავლეთელი პარტნიორების დახმარებით, ელცინს გააყვანინეს ეს ბაზები. თუმცა აღნიშნული ბაზები ისევ დაბრუნდა კავკასიაში, რადგან სომხეთში გიუმრის ბაზა კავკასიაში რუსეთის ყოფნას, რუსების თვალთახედვით, საიმედოდ არ ხდიდა და არც რუსეთის სამხრეთ ფლანგს წარმოაჩენდა დაცულად, ისევ და ისევ რუსებისვე აზრით. ამიტომ რუსები თავიანთი ბაზებით დაბრუნდნენ მიტაცებულ ტერიტორიებზე და ამაში სააკაშვილის წვლილი წონადია. **პოლიტიკოსი ის არის, ვინც განჭვრეტს გადადგმული ნაბიჯების რეალურ შედეგებს და არ ის, ვისაც ამოძრავებს საკუთარი განდიდების მანია და მიდის ნებისმიერ ავანტიურაზე.** ძალიან ბევრი ასპექტი აქვს იმას, რაც სულ ახლახან მოხდა, როცა რეადმისიის ფარგლებში უკრაინიდან პოლონეთში სააკაშვილის დეპორტაცია განხორციელდა, საიდანაც იგი უკანონოდ შევიდა უკრაინაში.

– დასავლეთში საბოლოოდ მიხვდნენ, რომ იგი უკრაინასაც დაღუპავდა და ამიტომაც გაარიდეს ამ ტერიტორიას?

– ამით დროებით მოგვარდა ის თავსატეხი, რაც რეალურს ხდიდა დესტაბილიზაციას უკრაინაში და, რისთვისაც არსებობს შესაბამისი ფონი უკრაინაში. ეს არის დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე, დემოკრატიის სისუსტე, ეკონომიკის მძიმე მდგომარეობა, რთული სოციალური ვითარება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პოპულისტური რიტორიკის დრო არ არის, რითიც სააკაშვილი გამოირჩევა. როგორც თავად ამბობს, ის რევოლუციონერია მოწოდებით.

მან საოცარი გზა განვლო. ერთი მხრივ, შემოვიდა პოლიტიკაში, როგორც ამერიკის დამფუძნებელ მამათა მიმდევარი და რეფორმატორი, ხოლო გუშინწინ სიამაყით აცხადებდა, რომ ის არის ჩე გევარას მიმდევარი, რევოლუციონერი, რომლის შეჩერება-გაჩერებაც დაუშვებელია. ეს ტრანსფორმაცია იმაზე მიუთითებს, რომ, ამავე დროს, მიზანსწრაფული, ენერგიული ადამიანია. ამიტომ უკრაინაში პრობლემა დროებით გადაწყდა იმით, რომ მე ვფიქრობ, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა, შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ სწორი, ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო და გაარიდა სააკაშვილი უკრაინას, რადგან უკრაინაში მისი ყოფნა

უკრაინის დესტაბილიზაციისა და პერსპექტივაში მისი დაშლის ერთ-ერთი წინამორბედი იყო.

ჰიპოთეტურად წარმოვიდგინოთ, სააკაშვილს ემართა პროცესები უკრაინაში, გამხდარიყო უკრაინის პირველი პირი, ან ერთ-ერთი პირველი პირი, ბუნებრივია, ის წამოიწყებდა სტერეოტიპულ რეფორმებს, დაიწყებდა ბრძოლას ოლიგარქების წინააღმდეგ. ოლიგარქების მიერ უკრაინაში სიტუაციის მართვა, რა თქმა უნდა, არ არის დემოკრატიის სიძლიერის და ქვეყნის პერსპექტივის გამომხატველი. თუმცა, ამავე დროს, სწორედ ამ ოლიგარქების ფინანსურ ძლიერებასა და პოლიტიკურ გავლენაზეა დაფუძნებული ის მყიფე სახელმწიფოებრიობა, რაც უკრაინას დღეს აქვს. ამიტომ ფილიგრანული ტექნიკაა საჭირო ამ სისტემის დემონტაჟისთვის და ოლიგარქების პოლიტიკიდან გაშვებისთვის.

მათი პოზიციებიდან ერთბაშად მოხსნა და დასავლეთში გარეკვა გამოიწვევს იმას, რომ ისინი წაიღებენ ეკონომიკურ ბერკეტებს, ფინანსებს, ქონებას. დასავლეთის შესაბამის გავლენიან პირებს მოისყიდიან, რასაც ყველა რუსი ოლიგარქი აკეთებდა და აკეთებს დღესაც. ეს უკრაინას დააკარგვინებდა იმ მიზერულ პოტენციალსაც კი, რაც დღეს აქვს. დაიწყებოდა უმართავი პროცესები, რაც ადვილი შესაძლებელია, დამთავრებულიყო უკრაინის სახელმწიფოებრიობის კრიზისით, უკრაინის დაშლით და რეგიონში მთავარი მოთამაშეების გავლენის გაძლიერებით უკრაინის ამა თუ იმ ნაწილში. მოგეხსენებათ, რუსეთის გავლენა მოიცავს მიერთებულ ყირიმს და აჯანყებულ დონბასს. ამას მოჰყვებოდა პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, სხვა ქვეყნების გავლენის მქონე ტერიტორიებზე არაპროგნოზირებადი შედეგები.

არსებითად დასავლეთის მოკავშირე უკრაინასა და რუსეთს შორის ფართომასშტაბიანი ომი და სამხედრო ოპერაციები ამ ეტაპზე გამორიცხულია, ამიტომ რუსეთს უკრაინის საქმეებში ჩარევის სხვა ფორმა არა აქვს, თუ არა შიდაარეულობა. თუ ამას დაემატებოდა ნიჭიერი ავანტიურისტის – სააკაშვილის პოლიტიკური ავანტიურები, ეს საოცნებო სიტუაცია იქნებოდა რუსეთისთვის. ამიტომაც რუსულ მედიაში ცალსახად ყიჟინა და სიხარული სააკაშვილის დეპორტის გამო არ არის, რადგან რუსეთშიც არიან ანალიტიკოსები, პოლიტიკოსები, რომლებიც სიტუაციას ადეკვატურად უყურებენ. მათ მაინცდამაინც არ უხარიათ სააკაშვილის უკრაინიდან მოცილება.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაფიქრდება სააკაშვილი იმაზე, რაც მისი ფაქტორის გამო მოხდა საქართველოსა და უკრაინაში და გავა პოლიტიკიდან?

– სააკაშვილი პოლიტიკიდან არ გავა, ის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ადამიანია და რომელიმე დავარცხნილ, დალაგებულ, მდიდარ ევროპულ ქვეყანაში, ან ამერიკის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა მისთვის ჯერ ადრეა. ამიტომ შეეცდება, დარჩეს აქტიურ მოქმედ პოლიტიკოსად. ის ახლა მოსინჯავს, როგორ წარიმართება უკრაინაში მოვლენები, საპროტესტო აქციები დაიწყება თუ არა, ამ აქციებში მოსახლეობის რა ნაწილი მიიღებს მონაწილეობას. თუ ეს 300-500, ან კიდევ 5 და 10-ათასკაციანი საპროტესტო თავყრილობა იქნება, ეს არაფრის მომტანად ჩაითვლება 45-მილიონიან უკრაინაში, მაგრამ, თუ საპროტესტო აქციების მასშტაბი გასცდება 100-200 ათასს და სხვადასხვა რეგიონში გაიმართება, ბუნებრივია, სააკაშვილს რაღა დააკავებს?! მას ან დააბრუნებენ, ან თავად დაბრუნდება და შევა უკრაინაში, ან არჩევნების შედეგებზე შეეცდება ზეგავლენის მოხდენას.

ამის მცდელობა მას ექნება. თუ არადა, მერე დაიწყებს ფიქრს იმაზე, რაში დახარჯოს ენერგია. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალანაზღაურებადი პოზიციები მას ნაკლებად ხიბლავს, მას უფრო მოქმედი პროცესები უყვარს და აქ ხედავს თავის შესაძლებლობას. გამორიცხული არ არის, კავკასიაში დაბრუნებაც სცადოს. აქ განზრახ ვამბობ კავკასიას, რადგან როგორც თვითონ მიიჩნევს, მისი მასშტაბებისთვის საქართველო საკმარისი არ არის, ამიტომ, თუ რეგიონული, კავკასიური მასშტაბის მოღვაწე იქნება ახალ ეტაპზე, ან მახლობელ აღმოსავლეთში რაღაც ფუნქციას შეიძენს, მაშინ შეიძლება იფიქროს კიდეც ამაზე.

– ის ახლა ამბობს, „მე მიყვარს პოლონეთი, მაგრამ ჩემი ბრძოლა უკრაინასა და საქართველოშია და ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვან“. თუკი საქართველოსა და უკრაინაში მას არ ელიან, კავკასიაში მისი ადგილი სად მოინახება? ჩვენ გვახსოვს სააკაშვილმა ერთხელ უკვე ჩამოიქროლა სარფისკენ და ისევ გაიქროლა.

– მის ადგილს საქართველოში ვერ ვხედავ. როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, მშვიდად, ევოლუციურად, არჩევნების გზით ხელისუფლებათა მონაცვლეობით თუ სირიზაციისკენ, არც ერთ შემთხვევაში, საქართველოში მისი ადგილი არ არის. ხალხის განწყობიდან გამომდინარე, შეუძლებელია სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება. თუმცა ის თავად არ კარგავს იმედს და რაღაც ისეთ სიტუაციას ელის, რაც ადამიანური ლოგიკის ფარგლებს მიღმაა.

თავის დროზე მას მხარს უჭერდა დასავლეთი და, ჩემი აზრით, რუსეთიც. სააკაშვილმა ამით ისარგებლა, ქმედუუნარო, კორუფციის მორევში ჩაფლულ, ტერიტორიებმთლიანობა დარღვეულ საქართველოში მას მისცეს 50 ათასი ადამიანის მობილიზებისა და „ვარდების რევოლუციის“ ჩატარების საშუალება. ახლა ის ისევ მექანიკურად ელის ამის გამეორებას, რა თქმა უნდა, მისთვის სასურველია დასავლეთის სახელითა და მხარდაჭერით მოქმედება, მაგრამ არც რუსულ და არც სხვა მხარდაჭერაზე უარს არ იტყვის. ეს არის ძირითადი წინაპირობა მისთვის საქართველოში დაბრუნებისთვის იმ პირობებში, როცა მოსახლეობის ნახევარზე მეტი მაინც იქნება მისი აქტიური მოწინააღმდეგე. ამიტომ ეს პოზაა, რომ მე დავბრუნდები, რადგან მე მელიან საქართველოში. მე უფრო სხვა რამის მეშინია, რომ სააკაშვილი ისევ არ გამოიყენონ რეგიონში სიტუაციის ასარევად, რადგან დასავლური მიდგომა ასეთია, თუ სიტუაცია არ ლაგდება ლოგიკურად, დასავლეთისთვის მისაღებად, მაშინ ისინი ვითარების პროვოცირებას ახდენენ დესტაბილიზაციით ამ რეგიონში. ასე იყო ლიბიაში, სირიაში, იემენში და სხვაგან.

– თუკი ეს აპოკალიფსური პროცესი გამოვრიცხეთ, მაშინ სტრატეგიულ პარტიონერებს სააკაშვილზე ისევ ექნებათ გათვლა და მას ისევ გამოიყენებენ ცალკეული მოვლენების დასაჩქარებლად ან შესანელებლად?

– მე მაღალი წარმოდგენის ვარ, როგორც ამერიკელი ექსპერტებისა და ანალიტიკოსების, ისე რუსი სპეციალისტების მიმართ, თუმცა რუსებს ახლომხედველური დამოკიდებულება შერჩენიათ და ამ უაღრესად ცივილიზებულ ერს სკვითური მიუღებლობა მაინც აქვს სხვა აზრის მიმართ. ასევე, მაღალი აზრის ვარ თურქების პრაგმატიზმზე. ეს მაინც არ არის ოსმალეთი, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი საზოგადოების ნაწილი ცდილობს თემების აჟიტირებას, რომ ლამისაა, დაგვიპყრეს თურქებმა, ლამის ისმის ყიჟინა, დავიბრუნოთ ოკუპირებული ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, ერუშეთი, ლაზეთი. თუმცა არავინ სვამს კითხვას, რატომ არის, რომ თურქეთი 26 წლის განმავლობაში თანამიმდევრულად მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას? მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური დიასპირა ისევე, როგორც ჩრდილოკავკასიური, ჩერქეზული, ძალიან ძლიერია თურქეთში? ნუთუ თურქეთი ამას მზაკვრულად იმისთვის აკეთებს, რომ აჭარა მიიტაცოს და აჭარის მოსახლეობის აბსორბცია მოახდინოს?

არის რაღაც ელემენტები, მაგრამ თურქეთს ეს დადებითიც უნდა დავუნახოთ. სხვანაირად ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ სამი დიდი ვეშაპის მეზობლად, როგორიცაა რუსეთი-თურქეთი-ირანი. თუ ამ ვეშაპებს შორის მყოფმა ქართველობამ 10 საუკუნის განმავლობაში მათთან ურთიერთობის სახით ვერაფერი ისწავლა, მაშინ ჩვენ არ ვართ დამოუკიდებლობის და თავისუფლების ღირსი. ახლა მოვიდა დრო, საზოგადოებამ გაიაზროს ეს ყველაფერი და არა დემაგოგებმა და პოპულისტებმა, რომლითაც სავსეა ქართული პოლიტიკა. სააკაშვილის მიერ ჩატარებულ მორიგ ექსპერიმენტს საქართველო ვერ გადაიტანს...

ჩვენ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი გვაქვს, ვართ თუ არა იმის ღირსნი, როცა რამდენიმე საუკუნის მერე გიორგი ბრწყინვალის მიერ ფაქტობრობრივად არარსებული საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობა შეზღუდულ-შეკვეცილი ფორმით აღვადგინეთ. აქ არსად არის სააკაშვილის ადგილი და ქართველი საზოგადოება არ მიიღებს მას. ისტორიული რემინისცენციები, რომ გიორგი სააკაძეც არ მიიღო ქართველმა საზოგადოებამ, არაფრის მომტანია. სხვათა შორის, თვითონ სააკაშვილმა თქვა, დავით აღმაშენებელს ვბაძავდიო, აღმაშენებელი როგორ ხოცავდა და ანადგურებდა მოწინააღმდეგეებსა და უკეთურებსო. აღმაშენებელს რომ ბაძავს ნებისმიერი ლიდერი, ეს გენიალურია, მაგრამ ვისაც მე-11-12 საუკუნეების საქართველო და დღევანდელი საქართველო და მისი გარემოცვა ვერ გაურჩევია, იმას საერთოდ რა ესაქმება პოლიტიკაში? – ჩემი აზრით, არც არაფერი.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

უვიზო რეჟიმის მტრები

„გერმანიაში ბინის გაძურდვის მცდელობისას კვლავ ქართველები დააკავეს!“ ასეთი სათაურით ვრცელდება მორიგი ინფორმაცია, ქართველების არაკეთილსაიმედოობის, მათი ძარცვისკენ და საერთოდ, კრიმინალისკენ მიდრეკილების შესახებ. და ამ ინფორმაციას არა რომელიმე მორიგი ინტერნეტ-სააგენტო, არამედ წლევანდელ „რეიტინგებში“ პირველ ადგილზე მყოფი ტელეკომპანია „იმედიც“, საქვეყნოდ აცხადებს!

უკაცრავად, მაგრამ არ მესმის, რას ემსახურება და რა დატვირთვა აქვს მედიის მხრიდან მსგავსი ტონით და ფორმით ასეთი ინიფორმაციების გავრცელებას?

ლევ შეინინის ერთ-ერთ მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ მოპარავენ ლენინგრადის სადგურში საფრანგეთის პარლამენტის წევრს ედუარდ ერიოს ოქროს მუსიკალურ საათს (ბრეგეტს) და როგორ უბრუნებენ ამ საათს „განაბები“ (კანონიერი ქურდები), ფრანგ პარლამენტარს, რათა მან ახალგაზრდა სსრკ-ზე ცუდი არ იფიქროს.

იმ მოთხრობაში არის ფრაზა, რომელსაც ერთ-ერთი „განაბი“ ამბობს: — **ისე, რომ იცოდეთ, არც ფრანგებს ჰყავთ ნაკლები ბიჭები!**

არც გერმანელებს, ესპანელებს, ბერძნებს და განსაკუთრებით ალბანელებს არ ჰყავთ ჩვენზე ნაკლები მომპარავები, კრიმინალები და ხშირად მათი სისასტიკე, გამაოგნებელი და შემაძრწუნებელია!

არანაირად არ არის მისაღები მუდმივად თავის მართლების პოზიციაში ყოფნა. კანონიერი ქურდები გაშფოთებთ და კოზა ნოსტრა ციყვსაშენი გგონიათ?

კამორა? (წაიკითხეთ რობერტო სავინოს „გომორა“).

ნეტა სკინხედები სად „მოღვაწეობენ“?

კი ბატონო, სტალინი დიქტატორი იყო, მაგრამ არც ჩერჩილი იყო ნაკლები.

საინტერესოა, ვინ დაბომბა ქალაქი კიოლნი 1942 წლის 31 მაისს, რის შემდეგაც მშვიდობიანი მოსახლეობის 95% განადგურდა?

გაიხსენეთ ამერიკული მხატვრული ფილმი „ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები“, რომლის მთავარი გმირი კაიზერ სოზა, ევროკავშირის წევრი უნგრეთის მოქალაქეა და მთელი ფილმის განმავლობაში ე.წ. უნგრულ მაფიაზეა საუბარი.

ბოლო კვლევების თანახმად კრიმინალური ჯგუფებისა და მაფიოზების რეიტინგში, საქართველო ევროპაში მეშვიდე ადგილზეა. ჩვენს წინ იტალია, ალბანეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი არიან. პირველ ადგილზე პოლონეთია, მაგრამ თუ დავფიქრდებით, ადვილად მივხვდებით, რომ ის მეშვიდე ადგილი იმითაა განპირობებული, რომ რუსული, თუ უკრაინული დაჯგუფებების ლიდერებში (ვიმეორებ — ლიდერებში და არა შემსრულებლებში), ქართული გვარის ავტორიტეტებიც არიან.

ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

უბრალოდ, საინტერესოა, რატომ გვაქვს არასრულფასოვნების კომპლექსი? ვინ ჩაგვიდო თავში (და ახლა აკეთებს ამას) ის, რომ ქართველები ცუდები ვართ?

რა მარაზმი და იდიოტობაა ასეთი მაზოხიზმი და თვითგვემა?

„დავაი რა, დაახვიონ აქედან“!

ჩემი სტურუა იქ დგამს სპექტაკლებს. მაჩვენეთ მისი დონის რეჟისორი, რომელიც საქართველოში მსგავს სპექტაკლს დადგამს!

მაგრამ არა, ჩვენ ხომ საქართველოს პოპულარიზაცია იმით უნდა მოვახდინოთ, რომ აქ უცხოელები ჩამოვიყვანოთ და ვამღეროთ, ანუ დღევანდელი ქართული საზომით და პიარ-ტექნოლოგიით, თურმე ხაჭაპურის სარეკლამოდ პიცას დღესასწაული მოვაწყოთ!

რა სისულელეა და რატომ ინერგება ეს არასრულფასოვნების კომპლექსი?

პირდაპირ ვიტყვი, რომ სანამ ამ კომპლექსის ვირუს-მატარებლებს და გამავრცელებლებს ექნებათ გავლენა ხელისუფლებაზე, მედიაზე და საზოგადოებრივ აზრზე, არც მჭადი გვექნება, არც ხინკალი, არც ქართული სიმღერა და საერთოდ ქვეყანა არ გვექნება!

თუ გინდა ძლიერი საქართველო, ღირსება დაუბრუნე ხალხს — გიორგი ჭყოდნდიდელმა ეს ფრაზა დავით აღმაშენებელს მე-11 საუკუნეში უთხრა.

ახლა 21-ე საუკუნეა! 21-ე!

საოცარია, მაგრამ იგივე “ვირუსგამავრცელებლები“ ითხოვდნენ — **არ ვაჩვენოთ მსოფლიოს ციხის კადრები, შევრცხვებითო.**

არად, სწორედ ამ კადრების ჩვენება იქნება ნამდვილი დემოკრატიის გამოხატვა. სრული სიმართლე იმ რეჟიმზე, რომელიც მსოფლიოს აჩვენებს, რომ საქართველო მენტალურად არის ევროპული, ნამდვილი ცივილური ოჯახის წევრი და მისი სწრაფვა დასავლური ღირებულებებისკენ არის არა იმ ხალხის მიერ დეკლარირებული მოთხოვნა, რომლებიც თავად ამახინჯებენ ჭეშმარიტ ფასეულობებს, არამედ ქართველი ხალხის სურვილი.

მაგალითისთვის მოვიყვან სოციალურ ქსელში, ჩემს მიერ 2016 წლის 9 მარტს გამოქვეყნებულ სტატუსს, რომელიც შემდგომ რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომაც გაავრცელა — **„რესპუბლიკური პარტიის მიერ შექმნილი მითი, რომ ისინი არიან დასავლური ღირებულებების მატარებელი და დამცველი ერთადერთი ძალა, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ დასავლეთთან ურთიერთობების დალაგება, კარგა ხანია, დაიმსხვრა. გაგიკვირდებათ და ეს მითი კანდელაკმა და ჩიორამ კარგა ხანია, ევროსაბჭოს იმ რეზოლუციებით გააცამტვერეს, რომლებიც პირდაპირ საქართველოს წინააღმდეგ იქნა მიღებული. ძალიან ადვილი დასანახია, რომ ამ პოლიტიკური ძალის დასავლეთთან ურთიერთობა ნაციონალური მოძრაობის მესამე, თუ მეოთხე რგოლების ურთიერთობების ტოლფასია.**

ჩიორა და კანდელაკი რომ გაჯობებენ ჰომეროსის მთარგმნელს, წესით ქუდი უნდა დაიხურო და სოფოკლეს დაუბრუნდე, მაგრამ ტკბილია პარლამენტარის ხელფასი. ძალიან ტკბილი!“ („ჰომეროსის მთარგმნელში“ ლევან ბერძენიშვილს ვგულისხმობდი).

საქართველოს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შეჩერების საფრთხე ამ ეტაპზე არ ემუქრება. ამ საკითხზე ჩვენი ოპონენტების მხრიდან არის დაწყებული სუფთა პოლიტიკური სპეკულაცია — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

„შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ თითქოს განიხილება საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეჩერება სადმე, რაიმე ფორმატში, ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაცია. დამიჯერეთ, იმ ადამიანებს, ვინც ამას ამბობს საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, ან ამოძრავებთ ვიწროპარტიული ინტერესები, ან ისინი უბრალოდ საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკაში ვერ ერკვევიან.

თავშესაფრის მაძიებელთა საკითხი, ასევე მიგრანტთა მიერ ჩადენილი დანაშაული, ეს არ არის ახალი საკითხი ევროპისთვის და ამ საკითხთან დაკავშირებით დასავლეთ ევროპის ქვეყნები მუშაობენ პარტიორ ქვეყნებთან და მათ შორის, საქართველოსთან. როდესაც შსს-ში ვმუშაობდი, მაშინაც გერმანელ კოლეგებთან გვქონდა ნაყოფიერი საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა. დარწმუნებული ვარ, რომ საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა მინისტრები წარმატებით განაგრძობენ თანამშრომლობას ჩვენს ევროპელ კოლეგებთან იმისთვის, რომ ეს საკითხები იყოს ერთობლივი თანამშრომლობის ფორმატში გადაწყვეტილი“, — განაცხადა თალაკვაძემ.

ნამდვილად ვეთანხმები ბატონ არჩილს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლება არ მუშაობს იმ აშკარა მტრების წინააღმდეგ, რომელთა მიზანი არა მხოლოდ რევანში, არამედ საქართველოს საბოლოო განადგურებაა.

განადგურება, პირველ რიგში, მთელს მსოფლიოსთან ურთიერთობების გაფუჭებაა. მათი სლოგანია — რუსეთს არ ველაპარაკოთ, დასავლეთს ვაჩვენოთ, რომ ბნელები და კრიმინალები ვართ.

პირველ რიგში, ეს უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ და დასაწყისში ყბადაღებული „კოჰაბიტაცია“, თავის „პოლიტკორექტულობასთან“ ერთად სასწრაფოდ უნდა დაასრულოს. შემდგომ კი საქართველოს ნამდვილი სახე უნდა აჩვენოს ყველას.

ნამდვილი სახე და არა ვიღაც მწერლუკების, ე.წ. არასამთავრობოების და „საზოგადოების წარმომადგენლების“ „ნაღვაწი“.

ამ ყველაფერს კი უმარტივესი რამ — სახელმწიფოებრივი ნება სჭირდება.

სახელმწიფოებრივი ნება, რომელიც არც ინვესტიციებს მოითხოვს და დროშიც საკმაოდ სწრაფად შესასრულებელი პროცესია.

სამწუხაროდ, რიგით მოქალაქეებს მხოლოდ ის გვრჩება, რომ დაველოდოთ სახელმწიფოებრივ ნებას, რაც ძალიან მეეჭვება, რომ გამოვლინდეს.

გია გაბრიჭიძე

◎ შემზარავი ფაქტი

გერმანიასა და იტალიაში ბინის ქურდობის ბრალდებით კიდევ სამი ქართველი დააკავეს

გერმანიის ქალაქ კემნიცში 33 და 35 წლის მამაკაცები მაშინ აიყვანეს, როდესაც ისინი მიმალვას ცდილობდნენ. დაკავებულებს სახლიდან მოპარული ნივთები აღმოაჩნდათ. ადგილობრივ პოლიციაში არ გამორიცხავენ, რომ დაპატიმრებულებს თანამზრახველებიც ჰყავდათ. იტალიაში კი, 41 წლის მამაკაცი ქალაქ მატერაში ერთ-ერთი კერძო სახლის გაქურდვის ფაქტზე დააკავეს. გამოძიების ცნობით, მან თანამზრახველთან ერთად შეაღწია სახლში და ძვირფასეულობა მოიპარა. ქურდობაში ბრალდებულების პოვნა პოლიციამ მანქანის სანომრე ნიშნის საშუალებით შეძლო. დაკავებული ციხეშია გადაყვანილი.

ვაკის რაიონში ნაგავს საღამოს საათებში გაიტანენ

თბილისის მერია ქალაქში მოძრაობის განტვირთვისა და სისუფთავის დაცვის მიზნით, **პირველი მარტიდან, ვაკის რაიონის 32 ქუჩაზე საპილოტე პროექტს იწყებს,** — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, პროექტი ვაკის პარკიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე და მის მიმდებარე ქუჩებზე, ნაგავშემკრები კონტეინერების 22 საათიდან დაცლას ითვალისწინებს.

„იმისათვის, რომ საპილოტე პროექტმა გაამართლოს და მოძრაობის განტვირთვა შევძლოთ, მნიშვნელოვანია, საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და მოსახლეობის მხრიდან გათვალისწინება, რომ კონტეინერების ავსება საღამოს საათებში მოხდეს და არა დღის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ეს კონკრეტული მიმართულება საცობების პრობლემას ვერ მოაგვარებს და ამას კომპლექსური მიდგომა სჭირდება, თუმცა ეს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმისა, რომ გარკვეულწილად, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე მოძრაობის განტვირთვა შევძლოთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა შესაბამის სამსახურებს დაავალა, რომ აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას მაქსიმალურად მიაწოდონ.

რას მოხმარდება გაზრდილი ბიუჯეტი?

დედაქალაქის მერმა თბილისის საკრებულოს თბილისის განახლებული ბიუჯეტის დამტკიცებისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი გაიზარდა და ცვლილებების შედეგად, 897 მილიონ ლარს შეადგენს.

მოგეხსენებათ, რომ ბიუჯეტის ოდენობა გაიზარდა — იყო 861 მილიონი და ცვლილების შედეგად, 897 მილიონ ლარამდე არის გაზრდილი. გაზრდილი თანხა 100 ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსის შემოყვანას მოხმარდება. გამწვანების ღონისძიებებისთვის ოთხი მილიონი ლარი იქნება მიმართული. ოთხი მილიონი გამოიყოფა ასევე, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის“, — განაცხადა კახა კალაძემ.

◎ ეს ხდება ყირგიზეთში!

საჩივრები ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტზე. წამება ელექტროდენით

ყირგიზეთის მოსახლეობისადმი მიმართვაში დაპატიმრებული ოპოზიციონერები საშინელ ამბებს ყვებიან ეროვნული სპეცსამსახურის შიდა სამზარეულოს შესახებ. ცოტა ხნის წინათ მათ ყირგიზი ხალხისადმი ღია მიმართვა გაავრცელეს, სადაც ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ საპყრობილეში განხორციელებული საშინელი წამების შესახებ ყვებიან.

მიმართვას ხელს აწერენ ჯალალაბადის ექსგუბერნატორი ბექტურ ასანოვი, ენერგეტიკის ექსპერტი ერნესტ კარიბეკოვი და ჟოგორკუ კენეშის ყოფილი დეპუტატი კუბანიჩბეკ კადიროვი, რომლებიც სასჯელს იხდიან ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდების ორგანიზების ბრალდებით. „ძლიერი ძაბვის ელექტროგაყვანილობის კლემებს ხელ-ფეხის დაბოლოებებსა და სასქესო ორგანოზე ამაგრებენ. ამის უამრავი მტკიცებულება არსებობს ჩვენთან ერთად საკანში მსხდომი პატიმრების ჩვენებებში“, — აღნიშნავენ ოპოზიციონერები თავიანთ მიმართვაში.

ტექსტში ასევე საუბარია იმაზე, რომ ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ასამართლებს და ხანგრძლივი დროით პატიმრობას უსჯის მოქალაქეებს ტერორიზმის ბრალდებით და ამგვარად „კერავს“ სისხლის სამართლის საქმეებს.

„ყირგიზეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტში უამრავი სისხლის სამართლის საქმე „იკერება“ უამრავი მოქალაქის მიმართ, მათ აწამებენ ელექტროგაყვანილობის მეშვეობით...ეს იმისათვის კეთდება, რომ ხალხის ყურადღება გადაიტანონ ყირგიზეთში არსებული ნამდვილი პრობლემებიდან“, — აცხადებენ პოლიტპატიმრები.

„მსგავსი ფაქტები მრავლადაა. ა. სეგიზბაევის მმართველობის დროს ჩადენილ სადიზმსა და დამცირებას ადგილი ჰიტლერის დროსაც კი არ ჰქონია“, — ყვებიან ისინი. თავის მიმართვაში პოლიტპატიმრები მოუწოდებენ ყველა წამებულ და უსამართლობის მსხვერპლ პატიმარსა და მათ ადმსდომი პატიმრების ჩვენებებში. ეს იმისათვის კეთდება, რომ მოქალაქეები მუდმივ შიშში ამყოფონ, ხოლო ხალხის ყურადღება გადაიტანონ ყირგიზეთში არსებული ნამდვილი პრობლემებიდან.

აბდილა სეგიზბაევი და ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ასამართლებს და ხანგრძლივი დროით პატიმრობას უსჯის მოქალაქეებს ტერორიზმის ბრალდებით და ამგვარად „კერავს“ სისხლის სამართლის საქმეებს. ასე მაგალითად, 2016 წლის 30 აგვისტოს ყირგიზეთში ჩინეთის საელჩოს აფეთქების ბრალდებით უკანონოდ გაასამართლეს და 10-დან 18 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს ყირგიზეთის სამ მოქალაქეს. მსგავსი ფაქტები მრავლადაა. ა. სეგიზბაევის მმართველობის დროს ჩადენილ სადიზმსა და დამცირებას ადგილი ჰიტლერის დროსაც კი არ ჰქონია.

ამგვარი ძალადობისა და უკანონობის ყველა მსხვერპლს (პატიმართა სავარაუდოდ 70% ციხეში სასჯელს სწორედ უსამართლოდ გამოტანილი განაჩენის გამო იხდის) მოვუწოდებთ, ყველას, ვინც გმობს ადამიანის უფლებების შელახვას, გაერთიანდით და გამოხატეთ თქვენი პროტესტი კანონიერი ადვოკატებს, რათა ყირგიზეთის პრეზიდენტსა და უშიშროების საბჭოს სამდივნოს წარუდგინონ ყველა მტკიცებულება დაპატიმრების, გამოძიებისა და სასამართლოს მსვლელობის დროს გამოვლენილი საპროცესო დარღვევების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებულმა ოპოზიციონერებმა რამდენიმე ხნით ადრე „მშრალი შიმშილობა“ გამოაცხადეს ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის აბდილა სეგიზბაევის გადადგომის მოთხოვნით.

უცვლელად გთავაზობთ მიმართვის სრულ ტექსტს:

მიმართვა ყირგიზ ხალხს

ძვირფასო ყირგიზებო, დადგა დრო, როდესაც ჩვენმა ხალხმა უშუალოდ უნდა წარმართოს თავისი ბედი. პირველ რიგში, დროა, წერტილი დაესვას სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე კრიმინალების საქმიანობას და ქვეყანა გაიწმინდოს ისეთი სამხრეებიანი მტარვალებისაგან, როგორიცაა ყირგიზეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. სეგიზბაევი და მისი კრიმინალური ბანდა (მოსყიდული ოპერმუშაკები, გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები), რომელთათვის ყველაფერი ნებადართულია, ხოლო ხალხს კანონით აშინებენ.

— ყირგიზეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტში უამრავი სისხლის სამართლის საქმე „იკერება“ ყირგიზეთის უამრავი მოქალაქის მიმართ, მათ აწამებენ ელექტროგაყვანილობის მეშვეობით, ძლიერი ძაბვის ელექტროგაყვანილობის კლემებს ხელ-ფეხის დაბოლოებებსა და სასქესო ორგანოზე ამაგრებენ. ამის უამრავი მტკიცებულება არსებობს ჩვენთან ერთად საკანში მსხდომი პატიმრების ჩვენებებში. ეს იმისათვის კეთდება, რომ მოქალაქეები მუდმივ შიშში ამყოფონ, ხოლო ხალხის ყურადღება გადაიტანონ ყირგიზეთში არსებული ნამდვილი პრობლემებიდან.

აბდილა სეგიზბაევი და ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ასამართლებს და ხანგრძლივი დროით პატიმრობას უსჯის მოქალაქეებს ტერორიზმის ბრალდებით და ამგვარად „კერავს“ სისხლის სამართლის საქმეებს. ასე მაგალითად, 2016 წლის 30 აგვისტოს ყირგიზეთში ჩინეთის საელჩოს აფეთქების ბრალდებით უკანონოდ გაასამართლეს და 10-დან 18 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს ყირგიზეთის სამ მოქალაქეს. მსგავსი ფაქტები მრავლადაა. ა. სეგიზბაევის მმართველობის დროს ჩადენილ სადიზმსა და დამცირებას ადგილი ჰიტლერის დროსაც კი არ ჰქონია.

ამგვარი ძალადობისა და უკანონობის ყველა მსხვერპლს (პატიმართა სავარაუდოდ 70% ციხეში სასჯელს სწორედ უსამართლოდ გამოტანილი განაჩენის გამო იხდის) მოვუწოდებთ, ყველას, ვინც გმობს ადამიანის უფლებების შელახვას, გაერთიანდით და გამოხატეთ თქვენი პროტესტი კანონიერებისა და ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ფარგლებში, მშვიდობიანი პოლიტიკური აქციების სახით.

ამ ღია წერილით მოვუწოდებთ ყველა წამებულ და უსამართლობის მსხვერპლპატიმარსა და მათ ადვოკატებს (წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულებრივი ბანდის წევრები, როგორებიც არიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების უფროსი მანას არაბაევი და ყირგიზეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტის ანტიკორუფციული სამსახურის თანამშრომელი ალმაზ ნადკაბილოვი საქმეს მსვლელობას არ მისცემენ და ეს წერილიც ადრესატამდე ვერ მიაღწევს), რათა ყირგიზეთის პრეზიდენტსა და უშიშროების საბჭოს სამდივნოს წარუდგინონ ყველა მტკიცებულება დაპატიმრების, გამოძიებისა და სასამართლოს მსვლელობის დროს გამოვლენილი საპროცესო დარღვევების შესახებ.

ბექტურ ასანოვი — შიმშილობის მე-14 დღე,
ერნესტ კარიბეკოვი — შიმშილობის მე-13 დღე,
კუბანიჩბეკ კადიროვი — შიმშილობის მე-12 დღე.

◎ ილჰამ ალიევის გამაოგნებელი განცხადების გამო

ვინ ოცნებობს ერევნის დაპყრობაზე?!

ილჰამ ალიევის სიტყვებს აზერბაიჯანული მხარე არც უარყოფს, არც ადასტურებს, საერთაშორისო საზოგადოება კი გაოგნებულია. საუბარია იმაზე, რომ 8 თებერვალს აზერბაიჯანის მმართველი პარტიის სხდომაზე ილჰამ ალიევმა სკანდალური განცხადება გააკეთა და ერევნის მიწების „დაბრუნება“ მოიწადინა. ამ განცხადებით აზერბაიჯანის პრეზიდენტმა რაღაცით თურქეთის პრეზიდენტს მიბაძა, რომელმაც ლამის მთელი ოსმალეთის იმპერიის აღდგენის სურვილი გამოხატა.

ილჰამ ალიევის თქმით, ერევანი (და არა მხოლოდ ერევანი) ისტორიულად აზერბაიჯანის ტერიტორიაა და ისტორიული მიწების დაბრუნება აზერბაიჯანის სტრატეგიული მიზანია. ალიევის სიტყვით, ამ მიზნით აზერბაიჯანში სოლიდური სამეცნიერო ნაშრომები იქმნება, იღებენ ფილმებს, ეწყობა გამოფენები, რომელიც აზერბაიჯანის ამ ისტორიულ მიწასთან კავშირს ეხება და ადასტურებს.

ალიევის ამ განცხადებას უმალვე გამოხმაურება მოჰყვა მოსკოვში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ აღნიშნა, რომ მოსკოვში ყველამ ნახა აზერბაჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის გამოსვლა მმართველი პარტიის ყრილობაზე. **ზახაროვას თქმით, ყველამ მშვენივრად იცის, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბულია, აღნიშნული გამონათქვამები კი ამ დაძაბულობის შემცირებას ხელს არ შეუწყობს.**

ალიევის ნათქვამს, ცხადია, მისი მთავარი ადრესატი — სომხეთის პრეზიდენტიც არ დაუტოვებია გულგრილი. **სერჟ სარგსიანმა აღნიშნა, რომ „სომხური მხარე ვერ დაამყარებს იმედს იმაზე, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მანამ, სანამ აზერბაიჯანი საკუთარ მაქსიმალისტურ და არარეალისტურ მოლოდინებზე უარს არ იტყვის და ერევნის დაპყრობაზე ოცნებობს“.**

აზერბაიჯანში სერჟ სარგსიანის განცხადება არავის გაჰკვირვებია, თუმცა აზერბაიჯანელები განაწყენდნენ რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის მარია ზახაროვას ნათქვამით. როგორც აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, მარია ზახაროვას ნათქვამმა აზერბაიჯანელების გაოცება გამოიწვია აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის სტრატეგიული და პარტნიორული კავშირების, ასევე, მაღალ დონეზე არსებული დიალოგის გათვალისწინებით. აზერბაიჯანის საგარეო უწყებაში მიიჩნევენ, რომ მსგავსი დამოკიდებულება სახელმწიფოს ხელმძღვანელის (ანუ ილჰამ ალიევის მიმართ) არასწორია.

ქართველი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ, **როგორც ჩანს, ილჰამ ალიევი რევიზიონისტულ პოლიტიკას დაადგა, რაც ადრე აღიარებული შეხედულებების წინააღმდეგ არის მიმართული.**

ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ პირადად მას არ სჯერა, ილჰამ ალიევს ასეთი განცხადება გაეკეთებინოს, თუმცა აფიქრებს ისიც, რომ ამ დრომდე აზერბაიჯანს საკუთარი პრეზიდენტის ნათქვამზე უარი არ უთქვამს.

„მე მგონი, ეს მოგონილი ამბავია, ე.წ. ფეიკია, რადგან ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს. გამოდის, რომ აზერბაიჯანი სომხეთს ადანაშაულებს აგრესიაში აზერბაიჯანის მიმართ და ამ დროს თვითონვე გამოთქვამს რევიზიონისტულ აზრებს. მაშინ, როდესაც აქამდე აზერბაიჯანის პოლიტიკა იყო, რომ ჩვენ სხვისი არაფერი გვინდა, უბრალოდ, ჩვენი ტერიტორია დაგვიბრუნონო. არც იმას გამოვრიცხავ, მარია ზახაროვასა და, ზოგადად, რუსების განცხადებაც ამასთან დაკავშირებით პროპაგანდისტული ომის ნაწილი იყოს. თუ ეს მართლა თქვა ალიევმა, მაშინ ძალიან დიდი პოლიტიკური შეცდომა დაუშვია. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია „რადიო თავისუფლებამაც“ გაავრცელა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსგავსი საუბრები ადრეც იყო. თუ არ ვცდები, 2013 წელს ზუსტად ასეთივე ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს ალიევს ასეთი რამ ეთქვას. მე მგონი, ერთი და იგივე ზღაპარი მეორდება, მაგრამ დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი“, — აღნიშნა **კახა გოგოლაშვილმა.**

მანვე განმარტა, რომ, ასეთ შემთხვევაში, აზერბაიჯანს გაუჭირდება სომხეთთან მორალისტური არგუმენტებით საუბარი, თუ რატომ წაიღო ყარაბაღი სომხეთმა და დაარღვია საერთაშორისო სამართალი. ცხადია, ყარაბაღთან მიმართებით სომხეთი და რუსეთი რეაგირებას არ ახდენენ, არანაირი მორალის პრინციპი არ აინტერესებს არც ერთ ქვეყანას, არც მეორეს, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება ხომ აკვირდება ამ ყველაფერს?!

ამდენად, კახა გოგოლაშვილის აზრით, **ერევნის დაბრუნებასთან დაკავშირებით ალიევის განცხადება თავად არის მოწოდება საერთაშორისო სამართლის დარღვევისკენ. აქ მარტო მორალზე არაა საუბარი, არამედ საუბარია საერთაშორისო სამართლისა და ნორმების პატივისცემაზე. თუ შენ გინდა, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა მოიპოვო, მაშინ ამავე საერთაშორისო საზოგადოებაში უნდა გქონდეს ისეთი ქვეყნის იმიჯი, რომელიც თავად სცემს პატივს ამ საზოგადოებაში გამეფებულ კანონებს. წინაააღმდეგ შემთხვევაში, როგორღა გინდა, საერთაშორისო საზოგადოებამ მხარი დაგიჭიროს და შენთვის იბრძოლოს? ეს ხომ ამ საზოგადოებისგან იზოლირებაა?**

„ამიტომ შეუძლებად ვთვლი ამ განცხადებას, მაგრამ მაფიქრებს ისიც, რომ აზერბაიჯანის მხრიდან ამის არანაირი უარყოფა არ ყოფილა. ასე რომ, არაფერია გამორიცხული“.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ **ილჰამ ალიევის განცხადება უფრო პოლიტიკური რიტორიკაა და საეჭვოა, ალიევი მართლაც დიდი ომის დაწყებას აპირებდეს.**

„უბრალოდ, ეს პოლიტიკური რიტორიკაა თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს ყარაბაღის პრობლემა, რომელიც ვერაფრით გადაიჭრა. ბუნებრივია, ალიევი ამ თემას იყენებს, მით უმეტეს, საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს აზერბაიჯანში და ამ პერიოდში ალიევი საკუთარ განცხადებებში მაქსიმალურად მკვეთრი იქნება. ასე რომ, მე ამას წინასაომარ რიტორიკად მაინც არ განვიხილავ“, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

მანანა ნოზაძე

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (SLRP II)
კრედიტის № 5078-GE, სესხი № 8143–GE
პროექტის №P122204

დავალების სახელწოდება: საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაუმჯობესება პროგრამული ინტერფეისის (API) შემუშავების გზით

კონტრაქტი/ RFP # SLRPII/CS/ICS-05

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის** განსახორციელებლად, რომლის მიზანია პროექტის გზებზე გადაადგილების ხარჯების შემცირება და მდგრადობის გაუმჯობესება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არის პროექტის განმახორციელებელი უწყება და დამქირავებელი აღნიშნული დავალებისთვის. ტექნიკური დავალება აღწერს კონსულტანტის მიერ გასაწევ მომსახურებას, განსაზღვრავს დავალების მიზნებს,ძირითად პრინციპებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დავალების ძირითადი მიზანია პროგრამული ინტერფეისის (API) შემუშავება OCDS (ხელშეკრულების შესახებ ხელმისაწვდომი მონაცემების სტანდარტები) სქემით, რომელიც გამოიყენებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს OCDS პორტალს მონაცემების მისაღებად და გასაგზავნად და საშუალებას მისცემს მომხმარებლებს მიიღოს და გაანალიზოს შესყიდვების შესახებ მონაცემები. API-ის მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ ა. მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახელმწიფო შესყიდვებით. ბ. საჯარო მოხელეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახელმწიფო კონტრაქტების მართვით. გ. მოქალაქეები ტექნიკური უნარებით, რომელთაც შეუძლიათ მონაცემების გადამუშავება დამატებითი ღირებულების შესაქმნელად. დ. კერძო სექტორის წარმომადგენლები.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე ბიოგრაფია (CV), რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- კანდიდატს უნდა ქონდეს ხარისხი კომპიუტერულ ინჟინერიაში ან მსგავს სფეროში და დადასტურებული გამოცდილება/კვალიფიკაცია ხელმისაწვდომი მონაცემების და წყაროების სისტემების შესახებ.
- კანდიდატს უნდა ქონდეს ვერსიების კონტროლის გავრცელებული სისტემის ან მსგავსი სისტემების (მაგ, GIT) შესახებ ცოდნა;
- არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება ვებ სისტემების შემუშავებაში;
- არანაკლებ 2 პროექტი განხორციელებული API-ის სისტემის შესამუშაველად;
- არანაკლებ 2-წლიანი ცოდნა და გამოცდილება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (SPA) არსებული მონაცემთა ბაზის მუშაობის შესახებ;
- საქართველოში, თბილისში ყოფნა არაა სავალდებულო. კანდიდატს უნდა ქონდეს უნარი იმუშაოს დისტანციურად და დავალების განხორციელების მონიტორინგისთვის შეეძლოს შეხვედრებში მონაწილეობა;
- დიზაინზე და დეტალებზე ორიენტირებულობა არის მნიშვნელოვანი;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა სავალდებულოა. კანდიდატს უნდა ქონდეს უნარი იმუშაოს დისტანციურად და დავალების განხორციელების მონიტორინგისთვის შეეძლოს შეხვედრებში მონაწილეობა;
- დიზაინზე და დეტალებზე ორიენტირებულობა არის მნიშვნელოვანი;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა სავალდებულოა. ქართულის ენის სრულყოფილად ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 60 დღე.

დავალების სავარაუდო ღირებულებაა 25,000 აშშ დოლარი (გადასახადების ჩათვლით).

ტექნიკური დავალება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.dropbox.com/sh/tpacfn1mlx803qa/AAAbm87aJFGXR4kaBNdcKu77a?dl=0

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში *(http://www.worldbank.org/en/projects-operations/products-and services/brief/procurement-policies-and-guidance#Guidelines).*

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2018 წლის 5 მარტის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: გიორგი სეთურიძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)
Credit No. **5078-GE;** Loan No. **8143-GE**
Project No. P122204

Assignment Title: Enhancement of the Georgian eGovernment Procurement System (Ge-GP) through the development of Application Programming Interface (API)

Contract/RFP No: SLRPII/CS/ICS-05

The Government of Georgia received a loan from the World Bank to implement Second Secondary and Local Roads Project (SLRP II) which aims to reduce transport costs on project roads and improve sustainability. Roads Department (RD) is the implementing agency of this Project and the Client of this assignment. TOR describe the services that the Consultant is expected to perform, objectives of the assignment along with guiding principles and qualification requirements.

The main objective of this assignment is the development of an API (Application Programming Interface) following the OCDS (Open Contracting Data Standards) schema for receiving from and sending data to the SPA's (State Procurement Agency) OCDS portal to allow and facilitate different types of users to access and analyze procurement data. The types of users could be i) citizens interested in public procurement, ii) public officials interested in the management of public contracting, iii) citizens with technological skills and with the ability to reuse data to create added value. (iv) private sector representatives.

Interested individuals shall provide CV demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services.

Minimum Qualification

- Candidate should be individual with a degree in computer engineering or other related field, and proven qualifications and experience in open data and open source systems.
- Candidate should possess knowledge of distributed version control system or similar (example, GIT).
- Have a minimum experience of 2 years in the development of web systems.
- Have experience in at least 2 projects with the development of APIs.
- Possess knowledge and experience of at least 2 years in the database engine used by SPA in the current data architecture.
- Being based in Tbilisi, Georgia is not a requirement. Capacity to work remotely with availability to participate in meetings to monitor progress.
- Eye for design and attention to details are essential.
- Fluency in English is required. Fluency in Georgian would be an asset

Estimated duration of assignment is 60 days.

Estimated Budget for the assignment is US$ 25,000 (all applicable taxes included)

The Terms of Reference for the subject assignment is available at the following link:

https://www.dropbox.com/sh/tpacfn1mlx803qa/AAAbm87aJFGXR4kaBNdcKu77a?dl=0

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines:* Selection and *Employment* of Consultants *[*under *IBRD Loans* and *IDA C*Credits & *Grants]* by World *Bank Borrowers*, January 2011 revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Selection will be under Section V – Selection of Individual Consultants - Guidelines – Selection and Employment of Consultants under IBRD Loans and IDA Credits & Grants by the World Bank Borrowers January 2011, revised July 2014 *(http://www.worldbank.org/en/projects-operations/products-and-services/brief/procurement-policies-and-guidance#Guidelines)*

Expressions of Interest along with detailed CV electronically or in printed materials must be delivered to the address below **not later than March 05, 2018, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze

Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web Site: www.georoad.ge

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მისია საქართველოში

საქართველო ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მისიას (Integrated Regulatory Review Service (IRRS) მასპინძლობს. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოში მისიის წარმომადგენლებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე შეხვდა. მისია მიზნად ისახავს საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი სისტემის შესწავლას და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

მისია დაკომპლექტებულია სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტებით, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში გაეცნობიან სხვადასხვა უწყებების საქმიანობას რადიაციული უსაფრთხოების მიმართულებით, რის შემდეგაც მომზადდება დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციებით. აღსანიშნავია, რომ მისიის რეკომენდაციების შესრულება გადამწყდება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ე.წ. „follow up" მისიის მიერ.

მისიის მოსამზადებელ პერიოდში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალისტებმა განახორციელეს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ეროვნული მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის თვითშეფასება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი SARIS (Self-Assessment Tool) სისტემის მეშვეობით. თვითშეფასების ანალიზის შედეგად შემუშავდა სამოქმედო გეგმის პროექტი.

◎ კალათბურთი

ნაკრებში მატჩებია

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გიორგი ცინცაძე და გოგა ბითაძე შეუერთდნენ. „ბუ“ რუმინეთიდან ჩამოვიდა, სადაც ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის მატჩში ითამაშა. რაც შეეხება ჭაბუკ გიგანტს, მან სერბეთის თასის ნახევარფინალში მიიღო მონაწილეობა, გუშინ კი თბილისში დაბრუნდა და გამთამაშებელთან ერთად, რომ იტყვიან, პირდაპირ აეროპორტიდან მივიდა სპორტის სასახლეში გამართულ საღამოს მოთელვაზე.

არც ერთ მათგანს არ უვარჯიშია. ცინცაძეს, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის 3 თვე გაუცდა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანზე პირველად ახლახან გავიდა, ნაკრების ექიმმა ნატრავმალ ფეხზე მასაჟი გაუკეთა, რის შემდეგაც იგი ბითაძესთან ერთად პარტნიორთა გარჯას მოედნის კიდიდან ადევნებდა თვალს. რაც შეეხება მოედანზე მიმდინარე ამბებს, ილიას ზუროსმა გუნდს დატვირთული ვარჯიში ჩაუტარა: სროლები, კომბინაციები, სწრაფი შეტევები, მოთელვები — ბერძენმა სპეციალისტმა თავისი სამწვრთნელო არსენალი თითქმის სრულად გამოიყენა და კალათბურთელები გვარიანად მოქანცა.

შეგახსენებთ, რომ ავსტრიისა და საქართველოს ნაკრებთა მატჩი 23 თებერვალს ვენის Schwechat არენაზე თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება, ხოლო 25-ში 19 საათზე გერმანიას ვუმასპინძლებთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მიქაუტაძე 2-3 თვეს გამოტოვებს

საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს“ მეორეხაზელი კონსტანტინე მიქაუტაძე ტრავმირებულია. ფრანგული გამოცემა sport24.lefigaro.fr წერს, რომ 26 წლის მორაგბე თამაშს დაახლოებით ორიდან სამ თვემდე ვერ შეძლებს.

ზემოხსენებული წყაროს ცნობით, ლეგიონერი ინგლისის ნაკრებთან ერთად გამართული ვარჯიშის დროს დაშავდა. მან საკუთარ კლუბში სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა, რომელმაც დაადგინა, რომ ქართველს ხერხემლის მალა აქვს დაზიანებული.

შეგახსენებთ, რომ მიქაუტაძე საქართველოს ნაკრებში 2010 წლიდან თამაშობს. მან „ბორჯღალოსანთა“ კვართი 55-ჯერ მოირგო და 2 ლელო გაიტანა. კონსტანტინემ მიმდინარე სეზონში „მონპელიეს“ რიგებში 14-ჯერ ითამაშა.

ამრიგად, „მონპელიეს“ მეორეხაზელი 2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს ვეღარ დაეხმარება.

კობა კობახიძე

პიონჩანი — 2018

ასი მეტრის ფასი

გუშინ გიგანტური სლალომის სტარტზე ჩვენი გუნდის ბოლო და ყველაზე გამოცდილი წევრი იასონ აბრამაშვილი დადგა, რომლისთვისაც ეს ზამთრის მეოთხე ოლიმპიური თამაშებია. მან ტრასის უმეტესი ნაწილი საკმაოდ სწრაფად გაიარა, მაგრამ ფინიშამდე დაახლოებით ას მეტრში მოცურდა და იმ სხვა ოცდაათამდე მოთხილამურის ბედი გაიზიარა, რომლებმაც დისტანცია ვერ დაასრულეს. ამის გამო იასონს შეჯიბრების გაგრძელების და მეორე დაშვებაში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა.

სამთო თხილამურობის ამ დისციპლინაში ოლიმპიური ჩემპიონი სპორტული სეზონის ლიდერი, ავსტრიელი მარსელ ჰირშერი გახდა, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ასევე გაიმარჯვა სამთო კომბინაციაში. მან ორ დაშვებას 2.18,04 წუთი მოანდომა და 1,27 წამით გაასწრო ნორვეგიელ ჰენრიკ კრისტოფერსენს, ბრინჯაოს მედალი კი ფრანგმა ალექსის პენტურომ მიიღო.

ხვალ სამთო მოთხილამურე ვაჟები ერთმანეთს სლალომში შეეჯიბრებიან. მონაწილეთა შორის იასონ აბრამაშვილიც იქნება, რომელიც ამ დისციპლინაში შედარებით უკეთ გამოდის.

ბეჭან დოლიძე

არ გათეთრდების ყორანი

რუსი კერლინგისტი ალექსანდრ კრუშელნიცკი, რომელიც პიონჩანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მეუღლესთან — ანასტასია ბრიზგალოვასთან წყვილში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ანტისადოპინგო წესების დარღვევაშია ეჭვმიტანილი. რუსი სპორტსმენის დოპინგ-სინჯში მელდონიუმის კვალი აღმოაჩინეს. სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ უკვე გამოაცხადა, რომ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) პირველადი დასკვნის საფუძველზე კრუშელნიცკის წინააღმდეგ საქმე აღძრა.

თუ დოპინგის გამოყენების ფაქტი საბოლოოდ დადასტურდება, რუსებს არა მარტო ბრინჯაოს მედლის დაბრუნება მოუწევთ, არამედ, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს რუსეთის ოლიმპიური კომიტეტისთვის დროებითი დისკვალიფიკაციის მოხსნის საკითხი, ასევე ისიც, შეძლებენ თუ არა რუსები ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე ეროვნული დროშით გამოსვლას.

ამ საკითხზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელი საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებას 24 თებერვალს მიიღებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომუნიკაციის დირექტორის მარკ ადამსის განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით IOC დამოუკიდებელ გამოძიებას დაიწყებს: „ჩვენთვის ეს ყოველივე მეტად უსიამოვნოა. თუ ბრალდება დადასტურდა და სპორტსმენი მართლაც დაადანაშაულეს დოპინგის მიღებაში, ეს მეტად დასანანი იქნება“.

მარკ ადამსის თქმით, გაივლიან თუ არა დახურვის ცერემონიალზე ეროვნული დროშით ოლიმპიელი ათლეტები რუსეთიდან, ეს საკითხი ჯერაც ღიაა: „რუს სპორტსმენებთან მიმართებით ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას არ ვაპირებთ. დოპინგის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ „ბ“ სინჯშიც დადებითი პასუხი იქნება, ესე იგი, სადღაც შეცდომა იყო დაშვებული. ეს შემთხვევა მხოლოდ ერთ სპორტსმენს ეხება, ამიტომ გთხოვთ, რომ ყველა რუს სპორტსმენს ნუ გასვრით“.

მელდონიუმი WADA-ს აკრძალულ ნივთიერებათა ნუსხაში 2016 წლის 1 იანვრიდანაა შეტანილი. იმავე წელს 300-მდე რუს სპორტსმენს მელდონიუმზე დადებითი პასუხი აღმოაჩნდა. მოგვიანებით WADA-მ ორგანიზმიდან ნივთიერების გამოსვლის ვადების შუალედური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, ხელახალი შემოწმების შედეგად კი ბევრი რუსი და უცხოელი სპორტსმენი გამართლდა.

მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტომ ასევე გადაწყვიტა, რომ თუ 2016 წლის 1 მარტამდე სპორტსმენის დოპინგ-სინჯის ერთ მილილიტრში მელდონიუმის შემცველობა ერთ მიკროგრამზე ნაკლებია, ის დასაშვებად იყოს მიჩნეული.

მანუჩარ გიორგაძე

საფეხბურთო მოზაიკა

ინგლისის ასოციაციის თასის 1/8 ფინალში მესამე დივიზიონის ბინადარმა „უიგანმა“ მოულოდნელად მიმდინარე სეზონში ფანტასტიკურად მოთამაშე „მანჩესტერ სიტი“ 1:0 დაამარცხა და გათამაშებას გამოთიშა.

მასპინძლებმა გამარჯვების გოლი მატჩის მიწურულს გაიტანეს, თუმცა, ემოციები იქამდეც დუღდა... საქმე ისაა, რომ პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ გასახდელში პეპ გვარდიოლამ და „უიგანის“ თავკაცმა პოლ ქუქმა იჩხუბეს. ორივე სპეციალისტი საკმაოდ გაცხარებული ჩანდა და რომ არა ფეხბურთელები და სტადიონის პერსონალი, ვინძლო, გვარიანადაც გაელამაზებინათ ერთმანეთი.

ინციდენტი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც „სიტის“ უკანახაზელი ფაბიან დელფი მთავარმა მსაჯმა მოედნიდან გააძევა. მწვრთნელთა დაპირისპირება ჯერ კიდევ მოედანზე დაიწყო და გასახდელში გაგრძელდა.

დავძენთ, რომ „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელმა სერხიო აგუერომ მოგვიანებით „უიგანის“ გულშემატკივარს ხელი გაარტყა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მასპინძელთა ქომაგები მოედანზე შევიდნენ საყვარელი გუნდის გამარჯვების აღსანიშნავად.

აქვე გეტყვით, რომ ინგლისის ასოციაციის თასი პირველი ტურნირია, რომლის მოგების შანსი „მანჩესტერ სიტის“ მიმდინარე სეზონში აღარ აქვს.

ლეგენდარული კოტ დივუარელი ფეხბურთელის დიდიე დროგბას შვილი ისააკი ამიერიდან „გენგამის“ ღირსებას დაიცავს. ფრანგული კლუბის ვებ-გვერდის ინფორმაციით, 17 წლის ახალწვეული 19-წლამდელებში ჩაირიცხა.

საინტერესოა, რომ თავის დროზე მამამისიც „გენგამში“ თამაშობდა და 34 მატჩში 17 გოლიც გაიტანა. სწორედ ამ გუნდიდან მოხვდა იგი მარსელის „ოლიმპიკში“, საიდანაც უკვე ლონდონის „ჩელსიში“ აღმოჩნდა, მისი ბიჭი კი სწორედ „ჩელსის“ აკადემიის აღზრდილია.

სტამბოლის „გალათასარაის“ ლეგიონერი ბაფეტიმბი გომისი თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ქასიმფაშასთან“ დაპირისპირებისას შეუძლოდ გახდა. შეხვედრის მე-7 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ფრანგი ფორვარდი უეცრად გაზონზე დაეცა.

საქმეში უმალვე სამედიცინო პერსონალი ჩაერთო და ბომბარდირი მალევე მოვიდა გონს. უნდა აღინიშნოს, რომ მან თამაში გააგრძელა და მოედანზე 90 წუთიც გაატარა. როგორც ირკვევა, „ლიონის“ ექსთავდამსხმელს გულის პრობლემები აქვს.

აქვე გეტყვით, რომ 32 წლის სნაიპერს ასეთი რამ პირველად არ მოსვლია: 2009 წელს საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე მოულოდნელად დაკარგა გონება, ხოლო 2015 წელს „სუონსი“ — „ტოტენჰემის“ მატჩის დროს გახდა შეუძლოდ.

გიორგი შოთაძე

წიგნი ქართულ ღვინოზე

ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობის ისტორიაზე, კულტურასა და პოტენციალზე წიგნს წერს. ცნობილი ღვინის პროფესიონალი ერთ თვეზე მეტია საქართველოში იმყოფება და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საოჯახო ტიპის მარნებსა და ღვინის საწარმოებს სტუმრობს.

ვიზიტის ფარგლებში ლიზა გრანიკი ეწვია კახეთს, იმერეთს, გურიას, სამცხე-ჯავახეთს, ქართლს, ასევე აგრარული უნივერსიტეტის მეღვინეობა-მევენახეობის ფაკულტეტს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე გაშენებულ ვენახს.

საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ლიზა გრანიკი შიდა ქართლს, კერძოდ ატენის ხეობას ესტუმრა, დაათვალიერა რამდენიმე საოჯახი მარანი და დააგემოვნა ადგილობრივი ღვინოები „თავკვერი“, „ატენური“, „ჩინური“, „გორული მწვანე“ და სხვა.

ლიზა გრანიკის თქმით, იმისათვის, რომ ქართული მეღვინეობის უდიდესი პოტენციალის შესახებ მსოფლიოს საზოგადოებამ მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიიღოს, აუცილებელია ბევრი ინგლისურენოვანი ნაშრომის მომზადება და წიგნებად გამოცემა.

ლიზა გრანიკის ორგანიზებით, ბოლო წლებში, ღვინის ეროვნულ საგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში (კომპანია „Tastingwork“), საქართველოში ღვინის პროფესიონალების არაერთი ვიზიტი განხორციელდა, აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში კი ქართული ღვინის პრეზენტაციადეგუსტაციები გაიმართა.

ხსოვნა

მიხეილ, ჯემალ, გიზო, მაგული, ქეთევან კუხალაშვილები, ზურაბ ჩაკვეტაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრობისა და ძმობის სიყვარულის მატარებლის, სოფელ ზუბის კოლორიტი პიროვნების, უკეთილშობილესი მამულიშვილის

ნაუმი ჯიბილოს ძე ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მწუხარეებაში მყოფ ოჯახის თითოეულ წევრს.

სანთელი

შ.პ.ს. „გეომარის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეზღვაური, შორეული ნაოსნობის კაპიტანი

ედუარდ ალექსანდრეს ძე ჟუკ-ტრიპოლიტოვი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

კოოპერატივი “რკ აგრო-ლია 2014” იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2018 წლის 11 მარტს 12სთ-ზე, მისამართზე: ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ.112.

მეცნიერთა მართლაც სენსაციური აღმოჩენა:

დნმ-ს ადამიანის სიტყვები და ფიქრები ესმის

მეცნიერებმა გამოაგნებელი დასკვნა გააკეთეს: თქვენ მიერ წარმოთქმული ნებისმიერი სიტყვა, სხვა არაფერია, თუ არა ტალღური გენეტიკური პროგრამა, რომელსაც თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვნად შეცვლა შეუძლია.

მოკლედ, ანდაზისა არ იყოს, ხარი ხართან თუ დააბით, მხოლოდ ზნესა და ფერს კი არ იცვლის, მემკვიდრეობით პროგრამასაც მისგან მიიღებს.

მემკვიდრეობითობაზე პასუხისმგებელი მოლეკულები აკუსტიკურ ინფორმაციას მაშინაც იღებენ, როცა თავად ვსაუბრობთ და მაშინაც, როცა ვინმეს საუბარი გვესმის.

დნმ ინფორმაციას ღებულობს მაშინაც, როცა თვალით, ჩუმად ვკითხულობთ ტექსტს ან ვუყურებთ რაიმეს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ რაღაც ტექსტი აჯანსაღებს მემკვიდრეობითობას, რაღაც კი — ტრავმას აყენებს.

ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიაში მიაჩნიათ, რომ, მაგალითად, ლოცვის სიტყვები გენეტიკური აპარატის ფარულ შესაძლებლობებს აღვიძებს. ამიტომაცაა, რომ მძიმედ და უნუგეშოდ დაავადებულები, რომლებიც წმინდანების ლოცვებს კითხულობენ, ხშირ შემთხვევაში იკურნებიან. აი, წყევლა კი არღვევს ტალღურ პროგრამებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ირღვევა ორგანიზმის ნორმალური განვითარება.

ცილისწამებას, ლანძღვას, დედის წყევლას შეუძლია სიტყვის ძალით დააავადმყოფოს ადამიანი, წაართვას ძალა და სიცოცხლეც კი მოუსწრაფოს მას.

ახლა კი მთავარი, რაც მეცნიერებმა დაასკვნეს: ადამიანის გენეტიკური აპარატისთვის სულერთი არაა, რას ფიქრობს, რას კითხულობს და რას უსმენს მისი „პატრონი“, რადგან ნებისმიერ ინფორმაციას აქვს უნარი, ჩაიბეჭდოს ეგრეთ წოდებულ ტალღურ გენომში.

ამასთან, დნმ-ის ამ აპარატს არ ძალუძს გაარჩიოს, საიდან და ვისგან ღებულობთ ინფორმაციას — ცოცხალი ადამიანისგან თუ ტელევიზორიდან. დნმ-ის მოლეკულები ამ ინფორმაციას აკუსტიკური და ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით ცვლიან.

თუმცა ყველაზე მეტად გამაოგნებელი მაინც ისაა, რომ მეცნიერებმა ექსპერიმენტებისას სიტყვებით არაერთი „სასწაული“, ანუ გენეტიკური ეფექტი მოახდინეს.

სწავლულებმა შექმნეს აპარატი, რომელიც ადამიანის სიტყვებს იმგვარ ელექტრომაგნიტურ რხევებად გარდაქმნის, რომლებსაც მემკვიდრეობითობის მოლეკულებზე, ანუ დნმ-ზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. სწორედ მისი დახმარებით გაარკვიეს, რომ ზოგი სიტყვა საშინელი ძალის მუტაგენურ ეფექტს იწვევს.

სპეციალისტების თქმით, ამგვარი სიტყვები 30 ათასი რენტგენის ძალის რადიოაქტიური დასხივების ეფექტს ახდენს! ძნელი წარმოსადგენია, რა შეიძლება, დაემართოს ადამიანს ამ სიტყვებით „დამუშავების“ შემდეგ, თუკი მისთვის 50 რენტგენი უკვე სასიკვდილო დოზაა.

მეცნიერებმა აღნიშნული ექსპერიმენტი, რაღა თქმა უნდა, არა ადამიანებზე, არამედ მცენარე არაბიდოპსის თესლზე ჩაატარეს და, პრაქტიკულად, ყველა თესლი დაიღუპა. ხოლო რომელიც გადარჩა, უბრალოდ გენეტიკურ სიმახინჯედ იქცა, რომლის მემკვიდრეობაც რამდენიმე თაობაში ნადგურდება.

კიდევ უფრო დიდი საოცრება, რამაც სწავლულები გააოცა, ის იყო, რომ მუტაგენური ეფექტი არ იყო დამოკიდებული ზემოქმედების ძალაზე. მეცნიერები სიტყვებს ხან ხმამაღლა წარმოთქვამდნენ, ხან — ხმადაბლა, ხან კი საერთოდაც ძლივს გასაგონი ჩურჩულით, მაგრამ შედეგი ყოველთვის ერთნაირი დგებოდა. გამორიცხულია, რომ მათ შექმნილ აპარატს ბგერითი ვიბრაციები გაეძლიერებინა, ვინაიდან ის ორ პაწაწა, ჯიბის ფარნის ბატარეაზე მუშაობდა. 30 ათასი რენტგენის ძალის ეფექტის მისაღებად კი იმაზე ათასჯერ მეტი ძალის ძაბვაა საჭირო, ვიდრე ეს ბატარეები გამოიმუშავებენ.

ასე რომ, გენეტიკური აპარატისთვის სულაც არაა სულერთი, რაზე ვფიქრობთ, რაზე ვლაპარაკობთ, რა შინაარსის წიგნებს ვკითხულობთ. ყველაფერი ტალღურ გენომში, ანუ ტალღურ გენეტიკურ პროგრამაში იბეჭდება, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებით ცვლის თითოეული უჯრედის მთელ მემკვიდრეობითობასა და პროგრამას.

ნამდვილად ღირს დაფიქრებად. გამოდის, რომ ბევრ ცხოვრებისეულ სირთულეს საზოგადოებრივი აზრი, სახელმწიფო, ძლიერნი ამა ქვეყნისანი „აპროგრამებენ“ სწორედ იმ მიზნით, რომ ძლიერი ადამიანები დამოკიდებული გახადოს იმგვარ „დოპინგზე“, როგორებიცაა: ავსიტყვაობა, ალკოჰოლი, მოწევა, ღორმუცელობა, გარყვნილება და სხვა.

დააკვირდით, როგორ პასუხობთ მარტივ შეკითხვას: „როგორ ხარ?“ ძირითადად, ასე: „არა მიშავს... ნელ-ნელა... ისე, რა...“ დააკვირდით, რაზე და რა ენით საუბრობთ, რა გადაცემებს უყურებთ, რა ინფორმაციას ათვალიერებთ ინტერნეტში...

ყველაფერი გასაგებია, არა?

თუ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეთ, რომ თქვენი წარმატება თქვენსავე აზროვნებასა და ურთიერთობებზეა დამოკიდებული, მეცნიერებს მაინც დაუგდეთ ყური.

SPUTNIK-GEORGIA.COM

„სისხლმდენი ჩუტყვავილა“...

56-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელის გარდაცვალებას და ჩუტყვავილას გახშირებულ შემთხვევებს ჯანდაცვის მინისტრი ეხმაურება. დავით სერგეენკო აცხადებს, რომ სამინისტრო შემთხვევის შესწავლას გეგმავს.

„ამ დაწესებულებაში უკვე ჩატარებულია შესაბამისი ღონისძიებები. რამდენიმე დღეში დამთავრდება მოკვლევა და სპეციალისტებს შეეძლებათ, ზუსტი რეკომენდაციები გასცენ. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში იყო ჩუტყვავილას იშვიათი, მაგრამ რთული ფორმა, რომელსაც ჰქვია სისხლმდენი ჩუტყვავილა“, — განაცხადა მინისტრმა.

სერგეენკომ სამძიმარი გამოუცხადა გარდაცვლილი ბავშვის ოჯახს.

ადიგენში მამაკაცი ხევში ჩავარდა და დაიღუპა

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში 50-წლამდე მამაკაცი ხევში ჩავარდა და დაიღუპა.

არსებული ინფორმაციით, სასწრაფო დახმარების მისვლის დროს, მამაკაცი უგონო მდგომარეობაში იყო. ექიმებმა კი მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

რუსთავში მაღაზია გაქურდეს

რუსთავში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე მაღაზია გაქურდეს. არსებული ინფორმაციით სალაროდან თანხა წაიღეს. დამნაშავე მიიმალა. ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლით აღიძრა და მიმდინარეობს გამოძიება. ამ დროისთვის დაკავებული არავინაა.

თბილისში ორი ავტომობილი ქვეითებს შეეჯახა

თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევას, ერთი ადამიანი ემსხვერპლა და ერთი კი მძიმედ დაშავდა.

ავტომობილი ორ ადამიანს კახეთის გზატკეცილზე იმ დროს დაეჯახა, როდესაც ისინი გზაზე გადადიოდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ავტომანქანის მძღოლებმა, სავარაუდოდ, საჭის დამორჩილება ვერ შეძლეს, რაც შემთხვევის მიზეზი გახდა. ერთ-ერთი ავტომობილის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ლეკვი თბილისის მთავრობის სხდომაზე

თბილისის მთავრობის სხდომას ლეკვიც ესწრებოდა. თბილისის მერმა მეტისის ჯიშის ლეკვი „ტიფანი“ თავშესაფრიდან მერიაში რამდენიმე დღის წინათ წაიყვანა.

ფოტოს მერიის პიარის ხელმძღვანელი ეკა ჯოჯუა აქვეყნებს.

გასაცინებელი ა(მ)ბები

რატომ?

მოწაფე ბიჭი დედას ეკითხება:

— დედიკო, რატომ იყო სოლომონი დედამიწის ზურგზე ყველაზე მდიდარი კაცი?

— იმიტომ, რომ ბევრი ცოლი ჰყავდა და სუყველას ეთათბირებოდა.

განდიდების მანია

ეტლში შებმული ცხენი უცნაურად იქცევა, ხან გაჭენდება, ხანაც შენელდება, მერე ისევ დაოთხილი გარბის და გარშემო ყველას აფრთხობს. ეტლში მჯდომი მგზავრი მეეტლეს ეკითხება:

— რა სჭირს ამ შენს ცხენს, მუდამ ასე იქცევა?

— სულ მუდამ, — მიუგებს მეეტლე. — განდიდების მანია სჭირს, დროდადრო თავი ავტომობილი ჰგონია.

ზნეობა

ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა მოსწავლე დაფასთან იხმო და ეკითხება:

— ჭიანჭველები შრომისმოყვარეობის ყველაზე საუკეთესო მაგალითია, ალბათ, გინახავს, თუ როგორ შრომობს მთელი დღე პაწაწინა ჭიანჭველა და რა წვალებით მიათრევს თავისზე ბევრად უფრო მძიმე ტვირთს საჭიანჭველეთში. აბა, თუ მეტყვი, რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან?

— დასკვნა ასეთია — სულერთია, მაინც ვიღაცა დაადგამს ფეხს.

რეალიზმი

ბებია ზღაპარს უყვება თავის შვიდი წლის შვილიშვილს:

— საღამოთი პრინცესამ გომბეშო თავის ოთახში შეიყვანა და უცებ ამაზრზენი გომბეშო ულამაზეს პრინცად იქცა... — როცა ბებიამ შვილიშვილს სახეზე უნდობლობა შენიშნა, ჰკითხა: — შენ რა, არა გჯერა, რასაც გიყვები?

— მე მჯერა, მაგრამ პრინცესას დედამ ვითომ დაიჯერა?! — უპასუხა გაკვირვებულმა გოგონამ.



შეღებილი სილამაზე

მე-16 საუკუნეში ბრიტანელი დიპლომატი ჯაილს ფლეტჩერი წერდა: „რუსი ქალები სახის კანის ცუდი ფერის დასაფარავად იმდენ ფერ-უმარილს ისვამენ, რომ ამის შემჩნევა ნებისმიერს შეუძლია“. მას სავსებით ეთანხმებოდა გერმანელი მოგზაური, მეცნიერი-ენციკლოპედისტი ადამ ოლეარი.

სახეზე თეთრასა და ფერ-უმარილს ძველ რუსეთში მამაკაცებიც ისვამდნენ, თან ზოგი მათგანი ულვაშსაც იხვევდა. მეფე ალექსი მიხეილის ძის პირადი ექიმი სემუელ კოლინზი წერდა, რომ რუსი ქალები კბილებს იშავებდნენ. ამას უფრო ისინი აკეთებდნენ, ვინც კბილის მინანქარი ვერცხლისწყლის მათეთრებლით დაიზიანა და ამით დაფარვას ცდილობდა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ამით ქალები ძვირფასიანი სურსათის — შაქრის ჭარბი მოხმარების გამო გაფუჭებული ღიმილის დემონსტრირებას ლამობდნენ და საკუთარი კეთილდღეობის დემონსტრირებას ახდენდნენ.

პეტრემდელ რუსეთში პერსპექტიულ საპატარძლოებად ფაშფაშა ქალიშვილები ითვლებოდნენ. „გამხდარი ქალები არაჯანსაღებად მიიჩნევიან, — განმარტავდა სემუელ კოლინზი. — ამიტომაცაა, რომ ისინი, ვინც ბუნებით სიმსუქნისკენ არ არიან მიდრეკილი, გასასუქებლად ზომაზე მეტს ჭამენ“.

ადამიანი თუ... კოალა?

თითთოეულ ჩვენგანს თითების განუმეორებელი ანაბეჭდები აქვს, თუმცა კი ბევრნი, შესაძლოა, არასდროს დაფიქრებულან, თუ რატომ აქვს ყველა ადამიანს თითების განუმეორებელი ანაბეჭდები?

არადა, თურმე, თითების ბალიშებზე ანაბეჭდები მარტო ადამიანებს როდი გვაქვს, ისინი ადამიანისმაგვარ მაიმუნებსაც ჰქონიათ, თუმცა კი პრიმატების თითებს მხოლოდ პარალელური ხაზები ამშვენებს, ამიტომ ანაბეჭდებით ორაგუტანგის ან გორილას გარჩევა შეუძლებელია — ნახჭები, პრაქტიკულად, ერთნაირია. ევკალიპტის დათუნია კოალებს კი თითების ანაბეჭდები იმდენად მიუგავთ ადამიანისას, რომ გამოცდილ ექსპერტებსაც ხშირად უჭირთ იმის გარჩევა, ადამიანის ანაბეჭდია მათ წინაშე თუ დათვის.

იცით თუ არა, რომ...

• **დოლარებით** შეფასებულ მილიარდერთა ბოლო ნუსხაში, რომელსაც ჟურნალი „ფორბსი“ აქვეყნებს, 1810 კაცია, რომელთაგან 67 პირი 40 წელზე ახალგაზრდა ასაკისაა, მათი ერთობლივი ქონება კი 6,48 ტრილიონ დოლარს შეადგენს?

• 2016 წელს სამხრეთ კორეამ შეინარჩუნა მსოფლიოში ყველაზე ინოვაციური ქვეყნის ტიტული, ხოლო მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, შვედეთი და გერმანია არიან?

• 1981 წელს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებით მიღებული დადგენილებით, 11-დან 60 წლამდე ასაკის ქვეყნის ყოველი მოქალაქე ვალდებულია სამიდან ხუთ ხემდე დარგას?

• 2014 წლის 27 მარტს ციხიდან გაათავისუფლეს 78 წლის ივაო ხაკამადა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში იმის გამო მოხვდა, რომ სიკვდილმისჯილთა საკანში თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა, სადაც ოთხი კაცის მკვლელობის ცრუ ბრალდებით მოხვდა?

• სილამაზის პირველი საერთაშორისო კონკურსი ბელგიაში 1888 წელს გაიმართა, ჟიურის წევრებმა კი გამარჯვებული... ფოტოსურათებით შეარჩიეს, რადგან მათი „ცოცხლად“ ნახვა აკრძალული იყო?

• 60 წლის განმავლობაში სილამაზის კონკურსებს მხოლოდ ევროპელი ქალიშვილები იგებდნენ და მხოლოდ 1954 წელს „მის მსოფლიო“ ეგვიპტელი ქალიშვილი გახდა, თუმცა კი მასაც ევროპოიდული ნაკვთები ჰქონდა?

• მაკიაჟზე ყოველდღიურად ქალები საშუალოდ 33 წუთს ხარჯავენ?

• არაბეთის გაერთიანებული საემიროები — ესაა ფედერაციული სახელმწიფო, რომელშიც შემავალი შვიდივე საემირო — აბუ-დაბი, აჯიმანი, დუბაი, რას-ელ-ჰაიმა, უბ-ელ-კაი-ვაინი, ფუჯეირა და შარჯა — აბსოლუტური მონარქიებია?

• ტრადიციული იაპონური ტკბილეული, ჩვენი გემოვნებით, არცთუ მაინცდამაინც ტკბილია, რადგან მასში ძალიან ცოტა შაქარია, ისევე, როგორც ცხიმი და ქოლესტერინი, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრია ცილა და ანტიოქსიდანტები?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4638; ევრო - 3.0595;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4550;
100 რუბლი - 4.3690; თურქული ლირა - 0.6553;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4545;
1000 სომხური დრამი - 5.1222.

ამინდი 21 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge